საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინსპექტირების სამსახურის

დასკვნა № 27091817 55

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების შესახებ

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში შესაძლო დარღვევების თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემოსული კორესპონდენციებისა (სამინისტროში რეგისტრაციის ნომრები: 915470 17/07/2018წ.[1]; 966331 31/07/2018წ.[2]; 977614 03/08/2018წ.[3]; 987437 07/08/2018წ.[4]; 987746 07/08/2018წ.[5]; 1024201 20/08/2018წ.[6]; 1003882 13/08/2018წ.[7]; 1003941 13/08/2018წ.[8]; 999927 10/08/2018წ.[9]; 1031379 22/08/2018წ.[10]; 1077208 04/09/2018წ.[11]; 1057612 30/08/2018წ.[12]; 1106819 10/09/2018წ.[13]; 1127148 13/09/2018წ.[14]) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ზეპირსიტყვიერი დავალების საფუძველზე, განხორციელდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესის შესწავლა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებით გრიფირება გამოცხადდა ამავე ბრძანების დანართით განსაზღვრულ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე. გრიფირების მიზანია ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების განხორციელების ხელშეწყობა მოსწავლეების ხარისხიანი სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის გზით[15]. გრიფირების პროცესი მოიცავს ოთხ ეტაპს, რომელშიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გარდა, ჩართულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. გრიფირების ადმინისტრირებისათვის სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ქმნის გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემას და უზრუნველყოფს მის მუშაობასა და უსაფრთხოებას[16].

---

[1] ავტორი ?

[2] ავტორი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

[3] ავტორი შპს „გამომცემლობა დიოგენე".

[4] ავტორი შპს „გამომცემლობა ტრიასი".

[5] ავტორი შპს „გამომცემლობა დიოგენე".

[6] ავტორი შპს „ელფის გამომცემლობა".

[7] ავტორი შპს „გამომცემლობა ტრიასი".

[8] ავტორი შპს „გამომცემლობა ტრიასი".

[9] [illegible] „[illegible]ომცემლობა ტრიასი"-ს ავტორთა ჯგუფი

[10] ავტორი შპს „გამომცემლობა ტრიასი".

[11] ავტორი შპს „გამომცემლობა პალიტრა L".

[12] ავტორი შპს „გამომცემლობა დიოგენე".

[13] ავტორი შპს „გამომცემლობა ტრიასი"

[14] ავტორი

[15] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

[16] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

თავის მხრივ, მინისტრის 2018 წლის 20 ივლისის N12 ბრძანებით მინისტრის მოადგილეს, თეიმურაზ მურღულიას, მინიჭებული აქვს გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმისა და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულ კორესპონდენციებში დასმული საკითხებისა და გრიფირების პროცესის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლის მიზნით, განხორციელდა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვა როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სტრუქტურული ერთეულებიდან, ასევე სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა (შემდგომში - სააგენტო) და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (შემდგომში - მართვის სისტემა). გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ სამინისტროს, სააგენტოსა და მართვის სისტემაში დასაქმებულ პირებს, ასევე გრიფირების პროცესში ჩართულ რეცენზენტებს, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ავტორებს/თანაავტორებს და გამომცემლობების/სტამბის წარმომადგენლებს.

გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა

- „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებით დამტკიცებული N2 დანართისა და ამავე წლის 03 აგვისტოს N697 ბრძანების თანახმად, გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადად განისაზღვრა **არაუგვიანეს 2018 წლის 10 აპრილი;**

- 2017 წლის 31 ოქტომბრის N964 ბრძანებით გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადად განისაზღვრა **არაუგვიანეს 2018 წლის 16 აპრილი;**

- 2018 წლის 04 აპრილის N332 ბრძანებით გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადად განისაზღვრა **არაუგვიანეს 2018 წლის 07 მაისი;**

- 2018 წლის 25 აპრილის N395 ბრძანებით რეცენზირებისა და გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადად განისაზღვრა **არაუგვიანეს 2018 წლის 31 მაისი;**

- 2018 წლის 14 ივნისის N568 ბრძანებით რეცენზირებისა და გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადად განისაზღვრა **არაუგვიანეს 2018 წლის 25 ივნისი.**

ამდენად, N575 ბრძანებაში განხორციელებული არაერთი ცვლილების საფუძველზე გრიფის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადამ რამდენჯერმე გადაიწია და გახანგრძლივდა. ამასთან, ცვლილებას განიცდიდა არა მხოლოდ აღნიშნული, არამედ ამავე ბრძანებით განსაზღვრული სხვა ვადებიც (საბუთების წარდგენის ვადა, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის წარდგენის ვადა, ტექნიკური/შინაარსობრივი რეცენზირების ვადები, საჯარო განხილვის ვადა).

მიუხედავად ამისა, გრიფირების პროცესის დადგენილ ვადებში დასრულება მაინც ვერ მოხერხდა. სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შემდეგ თარიღებში - 2018 წლის 24 ივლისს (ბრძანება N25), 01 აგვისტოს (ბრძანება N56), 15 აგვისტოს (ბრძანება N97), 17 აგვისტოს (ბრძანება N112), 21 აგვისტოსა (ბრძანება N113) და 31 აგვისტოს (ბრძანება N142). **ამდენად, მინისტრის ბრძანებით დადგენილი გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადები (არაუგვიანეს 2018 წლის 25 ივნისი) უგულებელყოფილ იქნა.**

უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადების ამგვარი ხშირი ცვლილება მისი გახანგრძლივების მიზნით და ის ფაქტი, რომ დადგენილ ვადაში გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მაინც ვერ იქნა მიღებული, მიუთითებს როგორც გრიფირების პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ვადის არასწორად განსაზღვრაზე, ასევე თვითონ პროცესის არასწორ და არაეფექტურ დაგეგმვაზე, ორგანიზებასა და განხორციელებაზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად ახასიათებს გრიფირების პროცესს. აღნიშნულზე მიუთითებს ასევე ის ფაქტი, რომ გრიფის მინიჭების შესახებ ბოლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, რითაც საფრთხე შეექმნა სკოლის მოსწავლეების სახელმძღვანელოებით დროულად უზრუნველყოფას.

შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპი

❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში V-VI კლასების სახელმძღვანელოების მაკეტები საგანში **„მუსიკა“** წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 594, ID 601, ID 592, ID 597, ID 595 და ID 598.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოებიდან გრიფი მიენიჭა ID 594, ID 601 და ID 592 განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, ხოლო ID 597, ID 595 და ID 598 განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

გამოვლინდა, რომ ID 592, ID 594 და ID 601 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები, **რომელთაც გრიფი მიენიჭათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ბრძანებით (N25 24/07/2018წ.), შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე, სერიის კონცეპტუალური ერთიანობის შეფასებისას, არ იქნა შეფასებული ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ** (შეფასება მოხდა 3-ის ნაცვლად 2 რეცენზენტის მიერ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ დანართი N1-ის („რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მუშაობის ინსტრუქცია“) პირველი მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების თანახმად, რეცენზენტი ვალდებულია რეცენზირებისას, მაკეტის კონკრეტულ ინდიკატორში მიანიჭოს 1-5 ქულა. თითოეული რეცენზენტის მიერ შედგენილი რეცენზია, განურჩევლად შეფასების შედეგისა, უნდა შეიცავდეს შინაარსობრივი კრიტერიუმის

თითოეულ ინდიკატორში მინიჭებული ქულის ან/და „მოთხოვნაში“ მითითებული შეფასების დასაბუთებას (განმარტებას).

❖ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, ID 594 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან - მოთხოვნებთან, კერძოდ მე-5 კლასის სახელმძღვანელო არ აკმაყოფილებს რეცენზირების წესის დანართი N2-ის 3.1 მოთხოვნას; ასევე მითითებულია, რომ მე-6 კლასის სახელმძღვანელო არ აკმაყოფილებს 2.1-ის მოთხოვნას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეცენზია 4-ია და ხმები თანაბრადაა გაყოფილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის თითოეული სახელმძღვანელოს მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის დადგენილ ტექნიკურ კრიტერიუმებს - მოთხოვნებს.

სააგენტომ ID 594-თან მიმართებით წარმოადგინა თავისი პოზიცია (წერილი N1098922 07/09/2018) და მიუთითა, რომ ID594 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ ავტორების მიერ გასწორდა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ მითითებული შენიშვნები, რაც დადასტურდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გამართულ შიდა განხილვებზე. აღსანიშნავია, რომ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში კვლავ დაფიქსირებულია, რომ ID594 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ უდგინდება შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან - მოთხოვნებთან. საკითხის დაზუსტების მიზნით ჩამორთმეულ წერილობით ახსნა-განმარტებაში რეცენზენტები, რომლებსაც გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში „მოთხოვნების სტატისტიკის“ ველში დაფიქსირებული აქვთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო არ აკმაყოფილებდა რომელიმე მოთხოვნას, უთითებენ, რომ უკვე დაბეჭდილი მაკეტი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

❖ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, ID 162 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან - მოთხოვნებთან, კერძოდ, მე-5 და მე-6 კლასის სახელმძღვანელოები არ აკმაყოფილებს რეცენზირების წესის დანართი N2-ის 3.1 მოთხოვნას (გრიფი მიენიჭა **N25 24/07/2018წ. ბრძანებით).**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის თითოეული სახელმძღვანელოს მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელოს/სერიისათვის დადგენილ ტექნიკურ კრიტერიუმებს - მოთხოვნებს.

საყურადღებოა, რომ მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N6 (30/08/2018წ.) ოქმის თანახმად, „მოისმინეს თეიმურაზ მურღულიას ინფორმაცია, რომ საჭიროა კომისიამ ფორმალიზება გაუკეთოს ID 162-თან დაკავშირებით განხილულ საკითხს. კერძოდ, სარეცენზიო კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ID 162 განაცხადით

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში შეტანილია ცვლილება, რომელიც შეუძლებელს ხდის ჩანაწერების გაკეთებას, შესაბამისად, შესასწორებელია გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში არსებული ჩანაწერი." აღსანიშნავია, რომ ID 162 განაცხადით წარმოდგენილ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში მოსაზრება წარდგენილი არ ყოფილა.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის უფლებამოსილება დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესით", რომლის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

ამდენად, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას არ ჰქონდა ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის უფლებამოსილება.

სააგენტომ ID162-თან მიმართებით წარმოადგინა თავისი პოზიცია (წერილი N1098922 07/09/2018 წ.), სადაც მიუთითა, რომ მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ 2018 წლის 30 აგვისტოს (ოქმი N6) ფორმალიზება გაუკეთა ID162-თან დაკავშირებით განხილულ საკითხებს, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმძღვანელოში ჩანაწერების გაკეთება შეუძლებელია და სააგენტოს დაავალა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში არსებული ჩანაწერის შესწორება. აღსანიშნავია, რომ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში კვლავ დაფიქსირებულია, რომ მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან - მოთხოვნებთან (3.1. მოთხოვნა).

საკითხის დაზუსტების მიზნით წერილობითი ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ რეცენზენტებს, რომლებსაც გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში „მოთხოვნების სტატისტიკის" ველში დაფიქსირებული აქვთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო არ აკმაყოფილებდა 3.1. მოთხოვნას. აღნიშნულმა პირებმა წერილობით ახსნა-განმარტებაში მიუთითეს, რომ უკვე დაბეჭდილი მაკეტი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას.

ტექნიკური რეცენზირების ეტაპზე გადასვლა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაკეტი ტექნიკურ რეცენზირებას გაივლის თუ:

- სერიის თითოეულმა მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე გადალახა ინდიკატორებისათვის (ცალკე მაკეტისთვის და ცალკე სერიისთვის) დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულების 79%-იანი მინიმალური ზღვარი (ბარიერი);
- მაკეტი სრულად აკმაყოფილებს სახელმძღვანელოს/სერიისათვის ამ წესის დანართი N2-ში განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაკეტი ტექნიკურ რეცენზირებას გაივლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შინაარსობრივი რეცენზირებისას დაძლია ინდიკატორებისათვის დადგენილი ბარიერი, აკმაყოფილებს სახელმძღვანელოსათვის/სერიისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მაკეტში ასახულ იქნა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

დადგინდა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებმა გაიარა ტექნიკური რეცენზირების ეტაპი, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივი რეცენზირებისას არ ჰქონდა დაძლეული ყველა ზემოაღნიშნული პირობებიდან ერთ-ერთი ან/და რამდენიმე:

- ID 184 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებიდან რამდენიმესთან (ინდიკატორებთან). ამასთან, განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ არის მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად;
- ID 247 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 248 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 260 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან). ამასთან, განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ არის მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად;
- ID 287 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან). ამასთან, განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ არის მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად;
- ID 303 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 362 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 383 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან). ამასთან, განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში

განხორციელებული კორექტურა არ არის მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად;

- ID 386 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან). ამასთან, განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ არის მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად;
- ID 182 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან);
- ID 183 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან რამდენიმესთან (ინდიკატორებთან);
- ID 284 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან);
- ID 302 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან);
- ID 308 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან რამდენიმესთან (ინდიკატორებთან);
- ID 309 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან რამდენიმესთან (ინდიკატორებთან);
- ID 326 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან);
- ID 364 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან რამდენიმესთან (ინდიკატორებთან);
- ID 387 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 595 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან);
- ID 597 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან);
- ID 598 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივ კრიტერიუმებთან (ინდიკატორებთან და მოთხოვნებთან).
- ID 174 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან რამდენიმესთან (ინდიკატორებთან). ამასთან, განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში

განხორციელებული კორექტურა არ არის მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების / მითითებების ავთენტურად;

- ID 176 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 335 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 339 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 224 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთთან (ინდიკატორებთან);
- ID 322 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ დაუდგინდა შესაბამისობა მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმებიდან რამდენიმესთან (ინდიკატორებთან). ამასთან, განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ მოსაზრებების განხილვის ვადა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისიის საქმიანობის მიზანია გრიფირებისას წარდგენილ გრიფირების განაცხადებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოსაზრებების წარდგენის უფლების უზრუნველყოფა, მოსაზრებების მიღება, განხილვა და მათზე გადაწყვეტილების მიღება. ამავე წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

ამავე წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ კომისია წარმოებაში მიღებულ მოსაზრებებზე გადაწყვეტილებას იღებს მოსაზრებების წარდგენის ვადის ამოწურვიდან

5 სამუშაო დღის ვადაში და რაიმე საგამონაკლისო შემთხვევას აღნიშნული ვადის გაგრძელების ნაწილში არ ითვალისწინებს.

ამდენად, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისია ვალდებული იყო, მოსაზრებების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განეხილა მოსაზრებები და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, რაც არ განხორციელებულა.

საგნობრივი ჯგუფის მიერ მაკეტების ხელახალი შეფასება და აღნიშნულთან დაკავშირებით მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებები

❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" დანართი N1-ით განსაზღვრული „რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მუშაობის ინსტრუქციის" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ავთენტურობის შემოწმებისას რეკომენდაციის/მითითების გამცემი საგნობრივი ჯგუფი ხელახალი რეცენზირების გზით ადგენს მაკეტის შესაბამისობას „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" დანართი N2-ით განსაზღვრულ შესაბამის კრიტერიუმთან, კორექტირებული ნაწილის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ:

ა) მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ არის რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივი ჯგუფი უთითებს ამის შესახებ და უცვლელად ტოვებს არსებულ შეფასებას;

ბ) მაკეტში განხორციელებული კორექტურა არის რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივი ჯგუფი უთითებს ამის შესახებ და უფლებამოსილია განახორციელოს ხელახალი შეფასება, შესაბამისი დასაბუთების (განმარტების) თანხლებით.

დადგინდა, რომ რეცენზენტთა საგნობრივმა ჯგუფებმა ID 173, ID 196, ID 197, ID 228, ID 242, ID 256, ID 288, ID 332, ID 375, ID 382, ID 125, ID 148, ID 149, ID 311, ID 315, ID 319, ID 365 განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებში განხორციელებული კორექტურა რეკომენდაციის/მითითების ავთენტურად მიიჩნია და მიუთითა, რომ შესაძლებელია ქულის ცვლილება ან/და გასცა რეკომენდაცია, რომ რეცენზენტებს ინდივიდუალურ დონეზე მისცემოდათ ხელახალი შეფასების შესაძლებლობა, თუმცა თავად ცვლილება გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში არ განუხორციელებია.

მართვის სისტემის თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რეცენზენტების მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების პირვანდელი შეფასების გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ასახვისა და რეცენზენტების მიერ ღილაკზე „ჩაბარება" დაჭერის მომენტიდან, სისტემა ავტომატურად იხურებოდა და რეცენზენტებს ქულების შეცვლის მიზნით მასზე წვდომა აღარ ჰქონდათ.

ამდენად, ID 173, ID 196, ID 197, ID 228, ID 242, ID 256, ID 288, ID 332, ID 375, ID 382, ID 125, ID 148, ID 311, ID 315, ID 365 განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებთან დაკავშირებით, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ვერ მოხდა ხელახალი შეფასებების ასახვა, რადგან გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა პირვანდელი

შეფასების მიცემისას იხურებოდა და არ აძლევდა რეცენზენტს შეცვლილი ქულის დაფიქსირების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული განაცხადების ნაწილის შემთხვევაში, იმ სახელმძღვანელოების ავტორებმა, რომლებთან მიმართებით წარმოიშვა ზემოაღნიშნული პრობლემა, მოსაზრებები წარადგინეს მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში. მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N1 (21/06/2018წ.) ოქმის თანახმად, ID 173, ID 196, ID 197, ID 228, ID 242, ID 256, ID 288, ID 332, ID 375, ID 382 განაცხადებით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებზე, შევიდა მოსაზრებები, რომელთა ავტორები სერიის/მაკეტის შეფასებას (ქულებს) და დასაბუთებას მიიჩნევდნენ შეუსაბამოდ და ითხოვდნენ ქულების მომატებას. აღნიშნულ განაცხადებზე რეცენზენტთა საგნობრივმა ჯგუფმა მაკეტში განხორციელებული კორექტურა რეკომენდაციის/მითითების ავთენტურად მიიჩნია და გასცა რეკომენდაცია არსებული შეფასების გადახედვაზე. მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ განიხილა აღნიშნული განაცხადები (ოქმი N1 21/06/2018წ.) და გადაწყვიტა, რომ ID 173, ID 196, ID 197, ID 228, ID 242, ID 256, ID 288, ID 332, ID 375, ID 382 განაცხადებით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეფასებების ცვლილების მიზნით, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს მისცემოდა წვდომა გრიფირების ელექტრონულ სისტემაში, შესაბამის შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებზე.

რაც შეეხება ID 125, ID 148, ID 149, ID 311, ID 315, ID 319, ID 365 განაცხადებით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, მათზე მოსაზრებები მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში არ შესულა. აღნიშნულის მიუხედავად, კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული მაკეტების საკითხი (ოქმი N2 24/06/2018 წ.) და გადაწყვიტა, რომ ID 125, ID 148, ID 149, ID 311, ID 315, ID 319, ID 365 განაცხადებით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეფასებების ცვლილების მიზნით, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს, ასევე, მისცემოდა წვდომა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, შესაბამისი შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებზე. შედეგად, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს მიეცა წვდომა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, შესაბამისი შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებზე და მათ მიერ შეცვლილ იქნა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ქულები.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N3 (26/06/2018წ.) ოქმის თანახმად, კომისიამ კვლავ განიხილა ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების საკითხი, შეამოწმა თითოეულ საგნობრივ ჯგუფში განხორციელებული ცვლილება, დაადგინა საშუალო შეფასება და გადაამოწმა კონკრეტული შეფასების გადახრა საშუალო შეფასებიდან. ამავე ოქმის თანახმად, კომისიის გადაწყვეტილებით, უცვლელად დარჩა ID 173, ID 242, ID 288, ID 332, ID 375 და ID 382 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეფასებებში საგნობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული ცვლილებები (ქულების მომატება), რომლებიც სრულ შესაბამისობაში იყო საერთო შეფასებებთან, ხოლო ID 196, ID 197, ID 228, ID 256 განაცხადებით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებთან მიმართებით, გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის/საგნის სპეციალისტებთან გავლილი კონსულტაციებისა და მათ (გრიფირების კომისიის საგნობრივი ექსპერტები) მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების/დასკვნების გათვალისწინებით, არ იქნა გაზიარებული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული ცვლილებები და უცვლელად დარჩა პირვანდელი შეფასებები.

რაც შეეხება ID 125, ID 148, ID 149, ID 311, ID 315, ID 319, ID 332 ID 365 ID 382 განაცხადებით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით, უცვლელად დარჩა ID 125, ID 148, ID 149, ID 311, ID 319, ID 332 ID 365 ID 382 განაცხადებით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეფასებებში რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განხორციელებული ცვლილებები (ქულების მომატება),

რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საერთო შეფასებებთან, ხოლო გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის/საგნის სპეციალისტებთან გავლილი კონსულტაციებისა და მათ მიერ წარმოდგენილი უარყოფითი რეკომენდაციების გათვალისწინებით, არ იქნა გაზიარებული **ID 315** განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეფასებაში რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განხორციელებული ცვლილებები და უცვლელად დარჩა პირვანდელი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა შემდეგი:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ თანახმად, თუ მაკეტში განხორციელებული კორექტურა იქნებოდა რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივ ჯგუფს უნდა ჰქონოდა ხელახალი შეფასების განხორციელების შესაძლებლობა. ამდენად, მიზანშეწონილი იყო, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში თავიდანვე ყოფილიყო გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფისათვის ხელახალი შეფასების განხორციელების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ მაკეტში შესრულებული კორექტურა იქნებოდა რეკომენდაციის/მითითების ავთენტური. მიუხედავად ამისა, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეცენზენტების მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების პირვანდელი შეფასების ასახვისა და რეცენზენტების მიერ ღილაკზე „ჩაბარება“ დაჭერის მომენტიდან სისტემა ავტომატურად იხურებოდა და რეცენზენტებს ქულების შეცვლის მიზნით მასზე წვდომა აღარ ჰქონდათ.
- თუ მაკეტში განხორციელებული კორექტურა იყო რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივი ჯგუფი უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა ხელახალი შეფასება და ეს საკითხი არ საჭიროებდა მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ განხილვასა და გადაწყვეტას, მით უფრო, რომ კომისიის ფუნქციებში არ შედის აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის უფლებამოსილება.
- როგორც აღინიშნა, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის საქმიანობის წესი დარეგულირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესით.'' აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისიის საქმიანობის მიზანია გრიფირებისას მოსაზრებების მიღება, განხილვა და მათზე გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო მე-8 მუხლით განსაზღვრულია მოსაზრებების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები. **ამდენად, აღნიშნული კომისიის ფუნქცია არის მოსაზრებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, განაცხადების ნაწილზე სახეზე არ ყოფილა კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი - მოსაზრება. შესაბამისად, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისია გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს.**
- მას შემდეგ, რაც მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ მოხდა რეცენზენტებისათვის გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში დაშვების/წვდომის მინიჭება, ხოლო რეცენზენტების მიერ მაკეტებისათვის ქულების მომატება, კომისიამ განიხილა ქულების მომატების საკითხი და ნაწილს დაეთანხმა, ხოლო ნაწილზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დარჩენილიყო პირვანდელი შეფასება. ამის უფლებამოსილება კომისიას არ გააჩნია, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ მაკეტში განხორციელებული კორექტურა იქნება რეკომენდაციის/მითითების ავთენტური, საგნობრივ ჯგუფს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება

განახორციელოს ხელახალი შეფასება და აღნიშნული არ საჭიროებს მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის დადასტურებას ან უარყოფას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოაღნიშნული მაკეტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, დაეთანხმა თუ არ დაეთანხმა კომისია რეცენზენტთა მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ასახულია მომატებული ქულები და საბოლოო შეწონილი ქულების (ახალი) გამოთვლისას სწორედ ეს მომატებული ქულები იქნა გამოყენებული.

➢ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების „დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, რეცენზიაზე მოსაზრების წარდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს მიაჩნია, რომ ქულა და მისი დასაბუთება ერთმანეთთან შეუსაბამოა. ვინაიდან გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა არ ითვალისწინებდა შეფასების ცვლილების შესაძლებლობას და ამ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა მოხდა მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ მოსაზრებების განხილვის ეტაპზე, აღნიშნულმა გამოიწვია იმ სახელმძღვანელოების მაკეტების ავტორების უფლებების შეზღუდვა, რომელთა მიმართ გაცემული იყო რეკომენდაცია ქულების ცვლილების თაობაზე. კერძოდ, ვინაიდან ხელახალი რეცენზირების შედეგად რეცენზენტების მიერ მოხდა მხოლოდ რეკომენდაციის გაცემა ქულის მომატებაზე, ხოლო კონკრეტულად ქულის მომატება არ მომხდარა, ამ განაცხადების ავტორებისათვის, მოსაზრებების განხილვის ეტაპზე, არ იყო ცნობილი მათი მაკეტების საბოლოო შეფასება, ისინი მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას შეეფასებინათ ქულისა და მისი დასაბუთების ერთმანეთთან შესაბამისობა და არ შეეძლოთ ამ კუთხით წარედგინათ მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში.

❖ დადგინდა, რომ რეცენზენტთა საგნობრივმა ჯგუფმა ID 195, ID 214, ID 229, ID 244, ID 245, ID 246, **ID 263**, ID 289, **ID 294**, ID 295, ID 300, ID 307, ID 330 და **ID 592** განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებში განხორციელებული კორექტურა რეკომენდაციის/მითითების ავთენტურად მიიჩნია, **თუმცა შეფასების შეცვლაზე რეკომენდაცია არ გაუცია.** აღნიშნულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში შევიდა განაცხადები, რომელთა თანახმადაც, ავტორები მათი სერიის/მაკეტის შეფასებას (ქულებს) და დასაბუთებას მიიჩნევდნენ შეუსაბამოდ და ითხოვდნენ ქულების მომატებას.

მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ განიხილა აღნიშნული განაცხადები (ოქმი N1 21/06/2018წ.) და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ID 195, ID 214, ID 229, ID 244, ID 245, ID 246, ID 263, ID 289, ID 294, ID 295, ID 300, ID 307, ID 330 და ID 592 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების არსებული შეფასებების გადასინჯვის მიზნით, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს მიწოდებოდა წარდგენილი მოსაზრებები და მისცემოდა წვდომა გრიფირების ელექტრონულ სისტემაში, შესაბამის შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებზე.

შედეგად, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს მიეცა წვდომა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, შესაბამის შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებზე.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N3 (26/06/2018წ.) ოქმის თანახმად, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განხორციელდა ID 195, ID 214, ID 229, ID 244, ID 245, ID 246, ID 289, ID 294, ID 295, ID 300, ID 307, ID 330 და ID 592 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეფასების კორექტურა. ამავე ოქმის თანახმად,

მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ დაადგინა, რომ უცვლელად დარჩენილიყო ID 195, ID 214, ID 229, ID 244, ID 245, ID 246, ID 289, ID 294, ID 295, ID 300, ID 307, ID 330 და ID 592 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეფასებებში რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული ცვლილებები (ქულების მომატება).

ყველა აღნიშნულ მაკეტთან დაკავშირებით გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ფიქსირდება შეფასების ცვლილება (ქულის მომატება) გარდა ორი მაკეტისა:

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ID 294 და ID 592 განაცხადებით წარდგენილი მაკეტების შეფასებებში არ ფიქსირდება ცვლილება/კორექტურა/ქულების მომატება, მიუხედავად იმისა, რომ მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისია დაეთანხმა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს და დაადგინა, რომ უცვლელი დარჩენილიყო შეფასებებში ცვლილებები (ქულების მომატება).

ამასთან, აღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების (ID 294 და ID 592) შეწონილი ქულების (ახალი) გამოთვლისას მონაწილეობს გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ქულები, რომლებშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ ცვლილებები არ არის ასახული.

❖ ასევე დადგინდა, რომ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ასახულია/დაფიქსირებულია ქულების მომატება იმ მაკეტებზეც (ID 132, ID 156, ID 160, ID 178, ID 258, ID 290, ID 334, ID 347, ID 348, ID 383 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები), რომლებზეც საგნობრივ ჯგუფს რეკომენდაცია ქულის მომატების თაობაზე არ გაუცია. აღნიშნულ მაკეტებთან დაკავშირებით ასევე არ ყოფილა წარდგენილი მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში და მათ მიმართ არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება ქულის მომატების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შეწონილი ქულების (ახალი) გამოთვლისას მონაწილეობს არა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული კორექტირებული ქულა, არამედ პირვანდელი შეფასება.

სააგენტოს კონსულტანტის, [illegible] განმარტებით, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე რეცენზენტებს მიეცათ ხელახალი წვდომა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაზე მაკეტებისთვის ქულათა შეცვლის მიზნით. მისივე განმარტებით, რეცენზენტებს სისტემაში ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდათ არა მხოლოდ იმ მაკეტებზე, რომელთა ასახვის შესაძლებლობის შესახებაც მიღებული იყო გადაწყვეტილება მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ, არამედ ყველა მაკეტზე, რომელიც წარდგენილი იყო გრიფის მისანიჭებლად (სისტემის გახსნა ტექნიკურად მოხდა ყველა მაკეტზე და არა ინდივიდუალურად იმ მაკეტებზე, რომელთა შესახებაც რეკომენდაცია იყო გაცემული). შედეგად, რეცენზენტების მხრიდან სისტემაში ქულათა ცვლილებები აისახა იმ მაკეტებზეც, რომელთა ქულის ცვლილების ასახვის შესაძლებლობის შესახებ მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას გადაწყვეტილება არ მიუღია. ასეთი ცვლილებები ასახულია გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში, თუმცა ასეთი მაკეტების საბოლოო შეწონილი ქულების გამოთვლისას მხედველობაში არ იქნა მიღებული რეცენზენტთა მიერ შეტანილი ცვლილებები და გამოყენებულ იქნა სისტემაში დაფიქსირებული „საბოლოო ქულა ძველი“.

როგორც აღინიშნა, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ცვლილების გაუქმება ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების მაკეტებზე არ მომხდარა და კვლავ ასახულია/დაფიქსირებულია როგორც პირვანდელი (ძველი), ისე მომატებული (ახალი) ქულა.

დადგინდა, რომ მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ კონკრეტულ მაკეტებთან დაკავშირებით, საქმის გარემოებების იგივეობის მიუხედავად, მიღებულ იქნა განსხვავებული გადაწყვეტილებები:

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის **N4 (10/07/2018წ.) ოქმის** თანახმად, კომისიამ მოისმინა კომისიის წევრის ინფორმაცია იმის თაობაზე, **რომ ID 385** და **ID 386** განაცხადებით წარდგენილი მაკეტების შემოწმება ვერ მოხერხდა მათში განხორციელებული ფუნდამენტური ცვლილებების გამო.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულის მიუხედავად, კომისიამ დაადგინა, რომ **ID 386** განაცხადით წარმოდგენილ მაკეტთან დაკავშირებით უცვლელად დარჩენილიყო რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებები, ხოლო **ID 385** განაცხადით წარდგენილი მაკეტი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენოდა გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის/საგნის სპეციალისტს.

ამდენად, ID 386 განაცხადით წარდგენილ მაკეტთან მიმართებით დაირღვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-4 მუხლით დადგენილი თანასწორობის, კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპი[17].

გარდა აღნიშნულისა, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის **N4 (10/07/2018წ.) ოქმის** თანახმად, კომისიამ მოისმინა კომისიის წევრის, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **ID 88, ID 185** და **ID 278** განაცხადებით წარდგენილი მაკეტები არის რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტური და შესაძლებელია, მათთვის გრიფის მინიჭება.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულის მიუხედავად, კომისიამ დაადგინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით მხოლოდ **ID 185** განაცხადით წარდგენილი მაკეტი გადასცემოდა გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის/საგნის სპეციალისტს, ხოლო **ID 88** და **ID 278** განაცხადით წარდგენილ მაკეტებთან მიმართებით არაფერი დაადგინა.

ამ შემთხვევაშიც, ID 88, და ID 278 განაცხადით წარდგენილ მაკეტებთან მიმართებით დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-4 მუხლით დადგენილი თანასწორობის, კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპი[18].

---

[17] ამ წესით რეგულირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: თანასწორობა; კანონიერება და სამართლიანობა.

[18] ამ წესით რეგულირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: თანასწორობა; კანონიერება და სამართლიანობა.

გრიფირების კომისია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ამდენად, გადაწყვეტილებას კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ იღებს გრიფირების კომისია, რაც ფორმდება მინისტრის აქტით.

შესწავლის პროცესში გამოვლინდა შემდეგი:

- გრიფირების კომისიის არსებობას არ ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესი“. აღნიშნული კომისიის არსებობას ასევე არ ითვალისწინებს არცერთი სხვა ნორმატიული აქტი და იგი შექმნილია მინისტრის ინდივიდუალური აქტის, კერძოდ, „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის **რეცენზირების წესის** დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში - რეცენზირების წესი). რეცენზირების წესის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ[19], თუმცა აღნიშნული უფლებამოსილება კომისიას მინიჭებული აქვს რეცენზირების წესის მარეგულირებელი აქტით, მაშინ, როდესაც რეცენზირება/მოსაზრების განხილვა არის გრიფირების III ეტაპი, ხოლო გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება - IV ეტაპი. ამასთან, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი გრიფირების მომდევნო ეტაპზე გადადის მხოლოდ წინა ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში.[20] აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მოთხოვნებს.
- არ არსებობს გრიფირების კომისიის ფორმირების წესი (რამდენი წევრის, რა ცოდნის/გამოცდილების პირებისაგან უნდა დაკომპლექტდეს და სხვა);

ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ კომისიაში ყველა საგანში 1 კონსულტანტია განსაზღვრული, გარდა მუსიკისა და მათემატიკისა. ამასთან [illegible] შემთხვევაში, კონსულტანტები განაწილებულნი არიან კლასების მიხედვით [illegible] I-IV კლასები, [illegible] VI კლასები), ხოლო მათემატიკის შემთხვევაში მსგავსი განაწილება არ არის. ასევე აღსანიშნავია, რომ გრიფირების კომისია შეიქმნა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის **2018 წლის 29 მაისის** N516 ბრძანებით, ხოლო კომისიის წევრებსა და სააგენტოს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები თარიღდება **2018 წლის 25 მაისით.** გარდა

---

[19] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[20] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-6 მუხლი.

აღნიშნულისა, მინისტრის 2018 წლის 18 ივლისის N08 ბრძანებით გრიფირების კომისიის წევრად განსაზღვრულია [illegible] მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება თარიღდება **2018 წლის 01 ივნისით.**

- არ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელონ გრიფირების კომისიის წევრებმა კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს;
- არ არის დადგენილი გრიფირების კომისიის საქმიანობისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი;
- სამართლებრივი აქტით არ არის დარეგულირებული გრიფირების კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები;
- განმცხადებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ გრიფირების კომისიის დასკვნებს და გამოეთქვათ მოსაზრებები;
- გრიფირების კომისიის თავმჯდომარე [illegible] დროს იყო მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის წევრი;
- გრიფირების კომისიის წევრების მიერ მომზადებული შეფასებების/დასკვნების ნაწილზე (მაგ. ID 196, ID 197, ID 228 და ID 256 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები და სხვა) არ ფიქსირდება თარიღი. შესაბამისად, დადასტურებულად არ დგინდება მათი შედგენის თარიღი.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი (ID 228, ID 256, ID 381, ID 252, ID 384, ID 294, ID 295, ID 196, ID 197, ID 178, ID 315, ID 263) აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭების ყველა საფუძველს/პირობას, მაგრამ გრიფირიების კომისიამ არ გაუწია რეკომენდაცია გრიფის მინიჭებაზე და მინისტრის მოადგილის ბრძანებით, მათ უარი ეთქვათ გრიფის მინიჭებაზე.

- სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების ნაწილი (ID 247, ID 248, ID 249, ID 297, ID 303, ID 362, ID 383, ID 99, ID 175, ID 260, ID 287, ID 298, ID 255, ID 386, ID 160, ID 184 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები) გრიფირების კომისიას არ განუხილავს, არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება (გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ), ასევე არ შემდგარა გრიფირების კომისიის დარგობრივი ექსპერტის/კონსულტანტის დასკვნა.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, რომელთა თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შემთხვევაში, არ არსებობდა გრიფის მინიჭების ერთ-ერთი/რამდენიმე საფუძველი, ხოლო მინისტრის მოადგილის აქტით მიღებულია გადაწყვეტილება მათთვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების ნაწილი (ID 182, ID 183, ID 284, ID 302, ID 308, ID 309, ID 326, ID 364, ID 387, ID 595, ID 597, ID 598, ID 174, ID 176, ID 335, ID 339 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები), რომელთა მიმართ ასევე არ არსებობდა გრიფის მინიჭების ერთ-ერთი/რამდენიმე საფუძველი, გრიფირების კომისიამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება (როგორც გრიფის მინიჭებაზე, ასევე გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ), რაც მიუთითებს გრიფირების კომისიის არაერთგვაროვან მიდგომაზე.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. აღნიშნულის ასევე არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-4 მუხლს, რომლის თანახმად, ამ წესით რეგულირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: თანასწორობა; კანონიერება და სამართლიანობა.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების ნაწილზე გრიფირების კომისიამ გასცა რეკომენდაცია გრიფის მინიჭების თაობაზე (ID 174, ID 176, ID 335, ID 339 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები), ხოლო ნაწილზე - გასცა რეკომენდაცია გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ (ID 182, ID 183, ID 284, ID 302, ID 308, ID 309, ID 326, ID 364, ID 387, ID 595, ID 597, ID 598 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები), თუმცა მინისტრის მოადგილის აქტით მიღებულია გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებაა მიღებული მათ მიმართ გრიფირების კომისიის მიერ.

- გრიფირების კომისიის 2018 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმში მითითებულია, რომ კომისიამ კომპეტენციის ფარგლებში განხილული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო დანართი N2-ით (კომისიის წევრების დასკვნები) წარმოდგენილი გადაწყვეტილება, თუმცა **ცალკეული დასკვნები გრიფის მინიჭებაზე ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე ცალსახა გადაწყვეტილებას არ შეიცავს. მაგალითად:**

- **ID 224 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით (ჩვენი საქართველო V-VI კლასები) კომისიის წევრის დასკვნაში მითითებულია შემდეგი:**

„ავტორი ახერხებს იმ ამოცანების შესრულებას, რაც სასკოლო სტანდარტითაა გათვალისწინებული. ვფიქრობ, ეს წიგნი თუ ცოტა გამარტივდება, შეიძლება დაშვებულ იქნას სკოლებში. მე-5 კლასი, მე-6 კლასი, ფასდება კარგად."

ამდენად, გრიფის მინიჭებაზე ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე ცალსახა გადაწყვეტილებას დასკვნა არ შეიცავს.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გრიფის მინიჭების საფუძვლებიდან ერთ-ერთ ან/და რამდენიმე პირობას, ხოლო მინისტრის მოადგილის აქტით მიღებულია გადაწყვეტილება მათთვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

ქვემოთ ჩამოთვლილი განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს მიენიჭათ გრიფი, ისე, რომ გრიფირების კომისიას არ მიუღია ცალსახა გადაწყვეტილება სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ:

- ID 180 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით (მეორე უცხოური ენა (რუსული) V-VI კლასები) გრიფირების კომისიის ექსპერტის დასკვნაში მითითებულია შემდეგი:

„მე-5 კლასი შეესაბამება სტანდარტს და მასში გარკვეული კორექტორული შესწორებების შეტანის შემდეგ სავსებით შესაძლებელია რეკომენდირებულ იქნას გრიფის მისანიჭებლად. მე-6 კლასის სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული არ არის მოკლებული ტექნიკურ ხარვეზებს, რომელთა გამოსწორების შემდეგაც სასწავლო მაკეტი შეიძლება რეკომენდირებულ იქნას გრიფის მისანიჭებლად".

ამდენად, დასკვნა გრიფის მინიჭებაზე ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე ცალსახა გადაწყვეტილებას არ შეიცავს. ამასთან, არსად არის ინფორმაცია იმის შესახებ, მოხდა თუ არა სახელმძღვანელოში იმ ხარვეზის გამოსწორება, რაც შესაძლებლობას იძლეოდა გრიფის მინიჭებაზე რეკომენდაციის მისაცემად.

- ID 258 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით (მეორე უცხოური ენა (რუსული) V-VI კლასები) გრიფირების კომისიის ექსპერტის დასკვნაში მითითებულია შემდეგი:

„სახელმძღვანელოში სასურველი იქნებოდა, რომ წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ "ჩასვით სიტყვები"-ს ტიპის დავალებები, არამედ, შემოტანილი იყოს ინტენცია, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს ფაქტებისა და მოვლენებისადმი დამოკიდებულება სამეტყველო სტრატეგიების ფორმით ჩამოეყალიბებინათ. შეიმჩნევა გარკვეული უზუსტობები და შეცდომები სიტყვათა გამოყენებაში. მე-5 კლასის კომპლექტი შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს და მასში გარკვეული კორექტორული შესწორებების შეტანის შემდეგ სავსებით შესაძლებელია რეკომენდირებულ იქნას გრიფის მისანიჭებლად.

მე-6 კლასის სახელმძღვანელოში დარღვეულია ზმნების გამოყენების წესი რუსულ ენაში, გამოტოვებულია ან შეცდომითაა გამოყენებული რიგი სიტყვები, შეიძლება, კიდევ რიგი სხვა ლექსიკური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომების მოყვანა თუმცა მოყვანილიც საკმარისია იმისთვის, რომ მე-6 კლასის სასწავლო კომპლექტის ავტორს გაეწიოს რეკომენდაცია კორექტორული და რედაქტორული სამუშაოს ჩატარებისათვის.

მიგვაჩნია, რომ რუსული ენის მე-5 და მე-6 კლასის სახელმძღვანელოების/სერიის მაკეტი ძირითადად შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს და მასში გარკვეული კორექტორული შესწორებების შეტანის შემდეგ სავსებით შესაძლებელია მიენიჭოს შესაბამისი გრიფი."

ამდენად, დასკვნა გრიფის მინიჭებაზე ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე ცალსახა გადაწყვეტილებას არ შეიცავს. ამასთან, არსად არის ინფორმაცია იმის შესახებ, მოხდა თუ არა სახელმძღვანელოში იმ ხარვეზის გამოსწორება, რაც შესაძლებლობას იძლეოდა გრიფის მინიჭებაზე რეკომენდაციის მისაცემად.

- ID 300 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით (მუსიკა I-IV კლასები) გრიფირების კომისიის ექსპერტის დასკვნაში მითითებულია შემდეგი:

„სასურველი იქნებოდა, რომ თემებთან დაკავშირებული სიმღერების შერჩევისას რეპერტუარი ყოფილიყო უფრო მრავალფეროვანი და ასაკისთვის უფრო საინტერესო და ახალი,

ვიდრე ეს წარმოდგენილია სხვა სერიებში. აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შემთხვევაში, სახელმძღვანელოს შესაძლებელია მიეცეს რეკომენდაცია გრიფის მინიჭებაზე."

ამდენად, დასკვნა გრიფის მინიჭებაზე ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე ცალსახა გადაწყვეტილებას არ შეიცავს. ამასთან, არსად არის ინფორმაცია იმის შესახებ, მოხდა თუ არა სახელმძღვანელოში იმ ხარვეზის გამოსწორება, რაც შესაძლებლობას იძლეოდა გრიფის მინიჭებაზე რეკომენდაციის მისაცემად.

ანონიმურობის დარღვევა

სააგენტოს დირექტორის, ზვიად როსტომაშვილის, 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილით მინისტრს წარედგინა დაზუსტებული და კორექტირებული ინფორმაცია (ცხრილის სახით) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისათვის მინიჭებული ქულების, წარმოდგენილი ფასდაკლებისა და საგნობრივი ჯგუფების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ. **აღნიშნულ ცხრილში ცალკეული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების შემთხვევაში მითითებულია, რომ დარღვეულია ანონიმურობა.** ცხრილის თანახმად, ანონიმურობა დარღვეულია 9 განაცხადით წარმოდგენილი მაკეტის შემთხვევაში (**ID 150, ID 154, ID 176, ID 178, ID 289, ID 295, ID 315, ID 324, ID 346**). აღნიშნულთაგან გრიფი მინიჭებული აქვს 5 განაცხადით წარმოდგენილ მაკეტს - **ID 150, ID 154, ID 289, ID 324 და ID 346**.

სააგენტოს დირექტორის, ზვიად როსტომაშვილის, 2018 წლის 03 სექტემბრის N1069422 წერილის თანახმად, რეცენზენტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ანონიმურობის შესაძლო დარღვევების შესახებ განხილულ იქნა კოორდინატორების მიერ, რომელთა მოსაზრებები გადაეცა სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს. სამინისტროში განხილვების ეტაპზე აღმოჩნდა, რომ პედაგოგების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა სახელმძღვანელოებისა და გამომცემლობების ნაწილი, შესაბამისად, ანონიმურობის დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც სახელმძღვანელოზე პირდაპირ იქნა მითითებული ავტორები. წერილის თანახმად, შეფასებულ იქნა ყოველი კონკრეტული შემთხვევა/მოსაზრება და დადასტურდა, რომ ანონიმურობის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

თავის მხრივ, ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციების შემსრულებლის, მარიამ ჩიქობავას, 2018 წლის 05 სექტემბრის N1085865 და 2018 წლის 07 სექტემბრის N1099014 სამსახურებრივი ბარათებით ანონიმურობის დარღვევის საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ანონიმური ეგზემპლიარი არის მაკეტი იმ სახით, რომლითაც გამოირიცხება საავტორო უფლების მფლობელის ან/და ავტორის იდენტიფიცირება. "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 2. პქ. "ა") თანახმად, პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. სახელმძღვანელოები ამ მხრივ ხასიათდება სპეციფიკით. კერძოდ, რამდენად არის მაკეტის ილუსტრაცია ან მისი დიზაინი ის მახასიათებელი, რომელიც საშუალებას იძლევა რეცენზენტმა

ამოიცნოს ამ მაკეტის საავტორო უფლების მფლობელი ან/და ავტორი, დამოკიდებულია თავად რეცენზენტის აღქმაზე. მაგალითად: "პანდის" ფოტო ზოგიერთი რეცენზენტისთვის შესაძლებელია ასოცირდებოდეს რომელიმე გამომცემელთან ან შესაძლებელია - არა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ილუსტრაციები, დიზაინი, შინაარსი და მსგ. არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საკუთრების განკარგვის უფლება. მაგალითად, "პანდის" ფოტო შესაძლოა ადრე, წინა გრიფირებისას, გამოყენებული ჰქონდა კონკრეტულ გამომცემელს, ხოლო ახალ გრიფირებაში, გასხვისების შედეგად, გამოიყენა სულ სხვა გამომცემელმა. შესაბამისად, გარემოება, რომ "ძველი" და "ახალი" მაკეტების ყდებს შორის არის მსგავსება, თავისთავად არ ნიშნავს ანონიმურობის დარღვევას. ანონიმურობის დარღვევის დასადასტურებლად აუცილებელია რეცენზენტის მიერ შესაბამისი მახასიათებლის გამოვლენა და შემდგომ მისი შეფასება (დადასტურება). პრაქტიკაში თავდაპირველად რეცენზენტი/შემფასებელი გამოავლენს (ეს მისი სახელშეკრულებო ვალდებულებაა) ანონიმურობის სავარაუდო დარღვევის ფაქტს და ამის შესახებ აცნობებს ხელმძღვანელს. შემდეგ, ეს ფაქტი უფლებამოსილი პირის/პირების მხრიდან ხდება მსჯელობის საგანი, რომლის შედეგი ეცნობება ამ რეცენზენტს/შემფასებელსა და დაინტერესებულ პირს. დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების 2017-2018 წლების გრიფირებაში, როგორც აღნიშნულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს N973691 (02.08.2018 წ.) წერილში, დაფიქსირდა ანონიმურობასთან დაკავშირებული რამდენიმე შემთხვევა. მას შემდეგ, რაც აღნიშნულის თაობაზე სააგენტომ აცნობა ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს, დეპარტამენტმა იგი დეტალურად დაამუშავა და სააგენტოს წარმომადგენელების მონაწილეობით განიხილა სამინისტროში. შედეგად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 06 მარტის N199 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გრიფირებაზე წარმოდგენილი, წარმოებაში მიღებული ყველა მაკეტის მიმართ, გაგრძელებულიყო გრიფირების წესით განსაზღვრული შემდგომი ეტაპი, მოცემულ შემთხვევაში - „საჯარო განხილვა".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის'' მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის თანახმად, გრიფირების განაცხადის წარმოდგენით განმცხადებელი ადასტურებს, რომ თანახმაა, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ანონიმურ ეგზემპლარში ანონიმურობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის საფუძველზე სამინისტრომ მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მხედველობაში იღებს, რომ შედეგად სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი გრიფირების შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის უფლებას კარგავს.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული წესი ითვალისწინებს მხოლოდ განმცხადებლის ვალდებულებას, დაადასტუროს თავისი ინფორმირებულობა ანონიმურობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შესაძლო შედეგების შესახებ, თუმცა არ განსაზღვრავს, რა პროცედურების დაცვით და ვის მიერ უნდა მოხდეს ანონიმურობის დარღვევის ფაქტის გამოვლენა/დადგენა. აღნიშნული წესი არ ადგენს, რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს მაკეტის ანონიმურობა დარღვეულად, როდესაც სახელმძღვანელოზე პირდაპირ არის მითითებული ავტორი/თანაავტორი, თუ სხვა შემთხვევაშიც, როდესაც რაიმე სხვა ნიშნით ხდება შესაძლებელი ავტორის/თანაავტორის იდენტიფიცირება, ასევე, ცალსახად არ ადგენს ანონიმურობის დარღვევის სამართლებრივ შედეგებს და იმ საკითხს, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ანონიმურობის დარღვევის ფაქტი გამოვლინდა გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

სახელმძღვანელოების სკოლებისათვის წარდგენა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-2 მუხლის „ც" ქვეპუნქტის თანახმად, **გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის შერჩევა არის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევა.**

„გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადის განსაზღვრის შესახებ" მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 24 ივლისის N26 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადად განსაზღვრულია **არაუგვიანეს 2018 წლის 27 ივლისი.** საგულისხმოა, რომ ამავე პუნქტში აღნიშნულია, რომ დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გასაცნობად ხელმისაწვდომი იყო (ბრძანება N199 06/03/2018 წ., წყარო: www.grifireba.emis.ge) მათი საჯარო განხილვის ვადაში (05/03/2018 წ.-01/04/2018 წ.) და აგრეთვე, მიმდინარე წლის 18 ივლისიდან (წყარო: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool), როგორც გრიფის მინიჭების კანდიდატები. **ამდენად, აღნიშნული ბრძანების თანახმად, 2018 წლის 18 ივლისიდან სკოლებისათვის სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი იყო არა ასარჩევად, არამედ გასაცნობად და თანაც, არა როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, არამედ როგორც გრიფის მინიჭების კანდიდატები.**

ამ კუთხით აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ საქმეში წარმოდგენილია სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს უფროსის, ეკატერინე ხუციშვილის, მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან (ekhutsishvili@mes.gov.ge) 2018 წლის 18 ივლისს გაგზავნილი წერილი, რომლითაც იგი ამავე სამმართველოს თანამშრომლებს უგზავნის I-VI კლასების სახელმძღვანელოების არჩევის ინსტრუქციას და სთხოვს, სასწრაფოდ გადაუგზავნონ საჯარო სკოლებს. თავის მხრივ, ინსტრუქციაში მითითებულია, რომ ცალკეული სახელმძღვანელოების შერჩევის ვადაა **18-20 ივლისი**, ხოლო ცალკეული სახელმძღვანელოების - **18-25 ივლისი.**

მართვის სისტემის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად (წერილები N992818 08/08/2018წ., N1030611 21/08/2018წ.), სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool.emis.ge) მეშვეობით სახელმძღვანელოების სკოლებისათვის შესარჩევად წარდგენა განხორციელდა 2018 წლის 18 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით, ამასთან, სახელმძღვანელოების **სკოლებისათვის შესარჩევად წარდგენა განხორციელდა ერთიანად, გარდა ორი განაცხადისა, რომლებიც სისტემაში დაემატა 2018 წლის 24 ივლისს** („გამომცემლობა დიოგენეს" და „გამომცემლობა ტრიასის" სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების I-IV კლასების სახელმძღვანელოები (ID 185, ID 385)).

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოებს გრიფი მიენიჭათ შემდეგ თარიღებში - 2018 წლის 24 ივლისს (ბრძანება N25), 01 აგვისტოს (ბრძანება N56), 21 აგვისტოსა (ბრძანება N113) და 31 აგვისტოს (ბრძანება N142), ხოლო სახელმძღვანელოების არჩევის ვადა, როგორც უკვე აღინიშნა, განისაზღვრა მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 24 ივლისის N26 ბრძანებით. ამდენად, 18 ივლისიდან 24 ივლისამდე სკოლების მიერ ვერ მოხდებოდა

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არჩევა, ხოლო გრიფის მინიჭების კანდიდატების არჩევის სამართლებრივი შედეგები კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის.

ამდენად, სკოლებისათვის ასარჩევად წარდგენილ იქნა სახელმძღვანელოები, რომლებთან დაკავშირებით არ იყო მიღებული გადაწყვეტილება გრიფის მინიჭების/გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, სკოლებს ასარჩევად არ მიწოდებია ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც მონაწილეობდა გრიფირების პროცესში, ხოლო ორი სახელმძღვანელოს დამატება მოხდა მოგვიანებით. გარდა აღნიშნულისა, სკოლებისათვის ასარჩევად წარდგენილ ყველა სახელმძღვანელოს არ მინიჭებია გრიფი, ამასთან, გრიფი მიენიჭა ისეთ სახელმძღვანელოებსაც, რომლებიც არ იყო წარდგენილი სკოლებისათვის. ამდენად, არ დგინდება, რა კრიტერიუმის მიხედვით მოხდა სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შესარჩევად წარდგენა.

ზემოაღნიშნულით დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-2 მუხლის „ც" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის შერჩევა გულისხმობს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევას. ამასთან, სახელმძღვანელოები არათანაბარ პირობებში აღმოჩდნენ, რითაც დაირღვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე", „ი" და „კ" ქვეპუნქტებით დადგენილი თანასწორობის, კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპები[21].

სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე წარდგენილი ფასდაკლებების გასაჯაროება და სახელმძღვანელოთა რანგირებული სია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი განაცხადების რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში, გარანტორს წარუდგენს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ საავტორო ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტულ) ოდენობას. აღნიშნული ფასდაკლება ძალაშია გრიფის მოქმედების ვადის განმავლობაში.

სააგენტოს იურისტი, [illegible] არტებით, იმ მიზნით, რომ მომხდარიყო განაცხადის ავტორთა მიერ ფასდაკლების ოდენობის წარდგენა, სააგენტოს მიერ გარანტორად განისაზღვრა ნოტარიუსი (განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვა). სააგენტოს მიერ განსაზღვრულ დროს (როგორც ახსოვს, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა 2018 წლის 11 ივნისი) განაცხადების ავტორებმა კონფიდენციალურობის დაცვით წარუდგინეს გარანტორს თავიანთი ინფორმაცია ფასდაკლების თაობაზე, კერძოდ, თითოეულ მათგანს კონვერტში ჰქონდა განთავსებული თავისი ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაცია და ამგვარად გადასცემდა გარანტორს. [illegible] ტებით, საავტორო უფლების მქონე

[21] ამ წესით რეგულირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: თანასწორობა; კანონიერება და სამართლიანობა.

პირებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული კონვერტების დატოვება ხდებოდა სააგენტოს სასარგებლოდ და მისი გახსნა უნდა მომხდარიყო მიღების დღესვე, 2018 წლის 11 ივნისს

[illegible] განმარტებით, მას შემდეგ, რაც ყველა განაცხადის ავტორის მიერ ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაციის გადაცემა გარანტორისათვის დასრულდა, განაცხადის ავტორები თავად შეთანხმდნენ, რომ გააკეთებდნენ ერთგვარ ცხრილს, სადაც ყოველი მათგანი, ფასდაკლების თაობაზე წარდგენილი კონვერტის გახსნის შემდგომ, მიუთითებდა მის მიერ წარდგენილი ფასდაკლების ოდენობას, რათა ყველა მათგანს დაენახა საერთო მდგომარეობა. აღნიშნული ცხრილი მოგვიანებით თავადაც ნახა (მათ გაუზიარეს ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მათ შორის ელექტრონულ ფოსტაზე grifireba@emis.ge) და იგი შეესაბამებოდა განაცხადის ავტორთა მიერ [illegible]ამოთქმულ ფასდაკლებების ოდენობებს.

[illegible]ევე განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც ყველა საავტორო უფლების მქონემ, გარანტორს გადასცა ინფორმაცია ფასდაკლების ოდენობის შესახებ, მოხდა კონვერტებში დალუქული ფასდაკლების ოდენობების გახსნა ნოტარიუს [illegible]ა სააგენტოს უროსის მოადგილე გიორგი თინაძის თანდასწრებით, რამდენჯერმე ოთახში თავად [illegible] [illegible]ც შევიდა (იმ პირის თანხმობით, ვისი ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის გაცნობაც ხდებოდა), პროცესს ასევე ესწრებოდა იმ კონკრეტული სახელმძღვანელოს/მაკეტის საავტორო უფლების მფლობელი, რომლის მიერ წარდგენილი ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის გაცნობაც ხდებოდა.

[illegible] მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სხვა პირი ფასდაკლების შესახებ კონვერტების გახსნის პროცესს არ ესწრებოდ[illegible] [illegible]ანმარტებით, მიმდინარეობდა ამ პროცესის ვიდეოგადაღებაც და აღნიშნული ჩანაწერი ინახება სააგენტოში.

[illegible] წერილობით ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაცია სრულიად კონფიდენციალური იყო 2018 წლის 11 ივნისს, მისი გარანტორისთვის გადაცემიდან იმ პერიოდამდე, სანამ ინფორმაცია გარანტორმა არ გააცნო საავტორო უფლების მქონე პირის თანდასწრებით სააგენტოს, ხოლო აღნიშნულის შემდგომ, საავტორო უფლებების მქონე პირებმა თავად გაასაჯაროვეს ეს ინფორმაცია. მისი განმარტებით, სააგენტომ და გარანტორმა კონფიდენციალობა დაიცვა მანამ, სანამ არ მოხდა ფასდაკლების თაობაზე ინფორმაციის ოფიციალურად გასაჯაროვება, კერძოდ, გრიფის მინიჭებისა და გრიფის მინიჭებაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების შემდგომ (2018 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში ზუსტ თარიღს ვერ იხსენებს) საავტორო უფლების მქონე პირთა მიერ წარმოდგენილი ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://esida.gov.ge).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის N443 ბრძანებით დამტკიცებული „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **საავტორო უფლების მფლობელი და გარანტორი ვალდებულნი არიან დაიცვან ფასდაკლების ოდენობის კონფიდენციალობა გარანტორისთვის მისი გადაცემის და შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, გარანტორი, სააგენტოს მიერ მითითებულ დროს კონკრეტულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს/სერიაზე ასაჯაროებს ინფორმაციას ფასდაკლების ოდენობაზე.**

როგორც ზემოაღნიშნულ ნორმაშია მითითებული, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოზე/სერიაზე ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება მინისტრის გადაწყვეტილება გრიფის მინიჭების შესახებ, ხოლო ფასდაკლების ოდენობის შესახებ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება კი აკისრია როგორც საავტორო უფლების მფლობელს, ასევე გარანტორს. გარდა ამისა, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე გასაჯაროვებას ექვემდებარება იმ სახელმძღვანელოს/მაკეტის

თაობაზე ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც მიენიჭა გრიფი, ხოლო ზემოხსენებულ ვებ-გვერდზე მოცემულია ყველა საავტორო უფლების მქონე პირის მიერ წარდგენილი ინფორმაცია მათი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე წარდგენილი ფასდაკლების ოდენობის შესახებ.

ამასთან, „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის N443 ბრძანებით არ არის გათვალისწინებული, რომ გარანტორი უფლებამოსილია სახელმძღვანელოს/სერიაზე ფასდაკლების ოდენობის შესახებ ინფორმაცია გადასცეს/გააცნოს სააგენტოს ან სხვა პირს. შესაბამისად, 2018 წლის 11 ივნისს, აღნიშნული ინფორმაციის გარანტორისთვის გადაცემის დღესვე, მისი სააგენტოს წარმომადგენლებისათვის გაცნობა/გადაცემა სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

წარმოდგენილ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N320206/01/85 (11/06/2018 წ.), რომლის 2.1 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ საავტორო ჰონორარზე საავტორო უფლების მფლობელისათვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტი) შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის მიზნით ინფორმაციის დეპონირება და შესაბამისი სანოტარო მოქმედებების შესრულება.

ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულებითაც მხოლოდ ფასდაკლების (პროცენტი) შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის მიზნით ინფორმაციის დეპონირება არის გათვალისწინებული და აღნიშნული მომსახურების ღირებულება შეადგენს 4545.12 (ოთხიათას ხუთას ორმოცდახუთი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარს. ხოლო ინფორმაციის მიღებისთანავე მისი სააგენტოს წარმომადგენლისათვის ან სხვა პირისათვის გადაცემის/გაცნობის უფლებაზე ხელშეკრულებაში რაიმე ჩანაწერი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ფასდაკლების ოდენობის გარანტორისათვის გადაცემის პერიოდში, დგებოდა დოკუმენტი „ფულის, ფასიანი ქაღალდებისა დეპოზიტში მიღების" თაობაზე, რომლის თანახმად, მხარის მიერ წარმოდგენილი კონვერტის ნოტარიუსთან დატოვება ხდება **სააგენტოს სასარგებლოდ** და მისი გახსნა მოხდება მიღების დღესვე, 2018 წლის 11 ივნისს და მხარემ განაცხადა და დაადასტურა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული პირობები მისთვის ცნობილია და სრულად ეთანხმება მას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის N443 ბრძანებით დამტკიცებული „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების" მე-4 მუხლის პირველი პუნქტი[22] არ ითვალისწინებს ზემოხსენებული ნორმისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, შესაბამისად, მხარეთა თანხმობის შემთხვევაშიც, არ შეიძლებოდა ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის მესამე პირისათვის გადაცემა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საავტორო უფლების მფლობელი და გარანტორი ვალდებულნი არიან დაიცვან ფასდაკლების ოდენობის კონფიდენციალობა გარანტორისთვის მისი გადაცემის და შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში. სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, გარანტორი, სააგენტოს მიერ მითითებულ დროს კონკრეტულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს/სერიაზე ასაჯაროებს ინფორმაციას ფასდაკლების ოდენობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული მოთხოვნა არ შესრულებულა და ინფორმაცია ფასდაკლების ოდენობების შესახებ ცნობილი გახდა როგორც ავტორებისათვის,

---

[22] სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, გარანტორი, სააგენტოს მიერ მითითებულ დროს კონკრეტულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს/სერიაზე ასაჯაროებს ინფორმაციას ფასდაკლების ოდენობაზე.

ასევე სააგენტოს წარმომადგენლებისათვის ჯერ კიდევ 2018 წლის 11 ივნისს, როდესაც სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების პროცესი დასრულებული არ იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ნაწილი სახელმძღვანელოებისათვის ქულების ცვლილება (მომატება) განხორციელებულია მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, ხოლო კომისიის პირველი სხდომის ოქმი თარიღდება 2018 წლის 21 ივნისით, შესაბამისად, ფასდაკლებების ოდენობების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა მანამ, სანამ ყველა მაკეტს საბოლოო ქულა მიენიჭებოდა.

„სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების დამტიკცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის N443 ბრძანებით დადგენილია, რომ ფასისა და ხარისხის შეწონვის მეთოდის გამოყენებით წარმოებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულის დადგენა. მეთოდი გულისხმობს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო ქულისა და ფასდაკლების შეწონვას, რა დროსაც სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო ქულას (ხარისხი) აქვს 70%-იანი, ხოლო საავტორო უფლების მფლობელის მიერ გარანტორისათვის ამავე სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე წარდგენილ ფასდაკლებას - 30%-იანი წონა.

სააგენტოს დირექტორის, ზვიად როსტომაშვილის, 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს მიეწოდა დაზუსტებული და კორექტირებული ინფორმაცია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის მინიჭებული ქულების (მათ შორის, შეწონილი ქულის), განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფასდაკლების, აგრეთვე, საგნობრივი ჯგუფების მიერ გაცემული რეკომენდაციების (ავთენტურობა, ანონიმურობის დარღვევა) შესახებ.

აღნიშნულ წერილს დანართად ახლავს ცხრილი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას გრიფირების პროცესში მონაწილე ყველა სახელმძღვანელოს შეწონილი ქულის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ შეწონილი ქულა გამოყვანილ იქნა მანამ, სანამ გრიფირების პროცესი დასრულდებოდა.

ასევე დასტურდება, რომ შეწონილი ქულა გამოყვანილია არა მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოებისათვის, არამედ გრიფმიუნიჭებელი სახელმძღვანელოებისათვის, რასაც სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესი და პირობები არ ითვალისწინებს (ფასისა და ხარისხის შეწონვის მეთოდის გამოყენებით წარმოებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულის [illegible]).

სააგენტოს კონსულტანტის, [illegible] ვანმარტებით, რიგ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს მიენიჭა გრიფი და რომელს ეთქვა უარი გრიფის მინიჭებაზე, მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც გამოთვლილი იყო ყველა მაკეტის საბოლოო შეწონილი ქულა. მისივე განმარტებით, შეწონილი ქულების გამოთვლისას მხედველობაში არ იქნა მიღებული (ვერც იქნებოდა მიღებული) ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს მიენიჭა გრიფი და რომელს არა, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ, სააგენტოს მიერ მაკეტების შეწონილი ქულების გამოთვლის დროისათვის, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ იყო. სააგენტოს მიერ გამოთვლილ იქნა უკლებლივ ყველა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შეწონილი ქულა, რომლებიც წარდგენილი იყო გრიფირებაზე.

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულის დადგენა წარმოებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო ქულისა და ფასდაკლების

შეწონვით. გრიფირების პროცესის დასრულებამდე სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულის გამოყვანა შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს, სახელმძღვანელოთა რანგირებულ სიაში რომელ ადგილზე მოხვდება სახელმძღვანელო გრიფის მინიჭების შემთხვევაში - მოხვდება თუ არა იგი რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიაში, რაც სკოლების შესაბამისი არჩევანის შემთხვევაში, ამ სახელმძღვანელოთა ავტორებისათვის ჰონორარის გადახდის ვალდებულებას წარმოშობს.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების არჩევაც სკოლების მიერ მოხდა მანამ, სანამ, სახელმძღვანელოებს გრიფი მიენიჭებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არჩევის ვალდებულებას და არა გრიფის მინიჭების კანდიდატების არჩევის ვალდებულებას. ამდენად, სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭებამდე ცნობილი იყო ინფორმაცია როგორც საბოლოო შეწონილი ქულების, ასევე სკოლების მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი უნდა გამხდარიყო მხოლოდ გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. აღნიშნული კი ქმნის რისკს, რომ გადაწყვეტილება გრიფის მინიჭებაზე ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ არაობიექტურად იქნება მიღებული და ამცირებს გადაწყვეტილების სანდოობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების **სააგენტო,** მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების დაცვით, **იღებს გადაწყვეტილებას** საავტორო უფლების მფლობელთან გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გრიფის მოქმედების ვადით სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების ან გაფორმებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 15 მაისის N443 ბრძანებით დამტკიცებული „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა და ფასდაკლების ოდენობის გასაჯაროების შემდეგ, **სააგენტო** იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის საავტორო უფლების მფლობელებთან ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რისთვისაც იგი ადგენს თითოეულ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილ ქულას და რეიტინგს ამ წესის დანართი N1.1-ის შესაბამისად. თუ ერთ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ალტერნატივების რაოდენობა აღემატება 3-ს, სააგენტო გრიფნიმიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების რანგირებული სიიდან შეარჩევს ყველაზე მაღალი ქულის არაუმეტეს 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიას. თუ ერთ საგანში/კლასში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ალტერნატივების რაოდენობა არ აღემატება სამინისტროს მიერ დადგენილ ლიმიტს, სახელმძღვანელოების/სერიების ფასისა და ხარისხის შეწონვისა და რანგირების მეთოდი აღარ გამოიყენება.

სააგენტოს კონსულტანტი, [illegible] წერილობით ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ: „სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ გამოთვლილ იქნა როგორც „საბოლოო შეწონილი ქულა ძველი", რომელშიც გათვალისწინებულია „საბოლოო ქულა ძველი", ასევე, გამოთვლილია „საბოლოო შეწონილი ქულა ახალი", რომლის გამოთვლისას, შესაბამისად, გათვალისწინებულია „საბოლოო ქულა ახალი"."

[illegible] წერილობით ახსნა-განმარტებაში, ასევე აღნიშნა, რომ: „რაც შეეხება მაკეტების რანგირებული სიის შედგენას და შესაბამისად, საგანში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამი)

სახელმძღვანელოს/სერიის არჩევას, ეს სცდება სააგენტოს უფლებამოსილების სფეროს და გახლავთ სამინისტროს პრეროგატივა. შესაბამისად, სააგენტოს აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია."

სააგენტოს იურისტის [illegible] განმარტებით, სააგენტოს მიერ არ განხორციელებულა თითოეულ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილ ქულისა და რეიტინგის დადგენა შესაბამისი ფორმულის მიხედვით. მისი განმარტებით, სააგენტომ ამ მიზნით (სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილ ქულისა და რეიტინგის დადგენა/რანგირებული სიის მომზადება) საჭირო მონაცემები მიაწოდა საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, კერძოდ, 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს წარუდგინეს მონაცემები ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის მინიჭებული ქულების (მათ შორის, შეწონილი ქულის (ძველი) და შეწონილი ქულის (ახალი)), განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფასდაკლების, აგრეთვე, საგნობრივი ჯგუფების [illegible] მიერ გაცემული რეკომენდაციების (ავთენტურობა, ანონიმურობის დარღვევა) შესახებ [illegible] განცხადებით, აღნიშნულ ცხრილში მითითებული იყო ორი საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი და ახალი), თუმცა რომელი უნდა გამოყენებულიყო გადაწყვეტილების მიღებისას, მისთვის უცნობია.

[illegible]ნმარტავს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, 2018 წლის 01 აგვისტოს სააგენტოს დირექტორმა, ზვიად როსტომაშვილმა და სააგენტოს კონსულტანტმა, [illegible] ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (teimuraz.murgulia@gmail.com) საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის მაშინდელი მოადგილის თეიმურაზ მურღულიასაგან მიიღეს წერილი. მასში მითითებული იყო [illegible] იმ სახელმძღვანელოების სია, ტირაჟების მითითებით, რომელთანაც უნდა გაფორმებულიყო ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულება. [illegible]ანმარტებით, დაზუსტებული მითითება იმის თაობაზე, თუ რა ცხრილი იყო ელექტრონულ ფოსტაზე, არ ყოფილა მითითებული და მან პირადად მითითება, რომ ეს იყო სწორედ ის ცხრილი, რომლის მიხედვითაც უნდა გაფორმებულიყო ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულება მიიღო ზვიად როსტომაშვილისაგან.

[illegible] განმარტავს, რომ მართალია გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო მონაცემები სააგენტომ სამინისტროს წარუდგინა 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილით, თუმცა ინფორმაცია სააგენტომ იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა გაფორმებულიყო ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულება ტირაჟით მიიღო თეიმურაზ მურღულიასაგან 2018 წლის 01 აგვისტოს. [illegible]ს განცხადებით, მისთვის უცნობია რა მონაცემებს ეყრდნობოდა თეიმურაზ მურღულიას სია და მიეწოდა თუ არა სააგენტოსაგან მას 2018 წლის 02 აგვისტომდე მონაცემები სხვა გზით. რამდენადაც მისთვის ცნობილია, 2018 წლის 01 აგვისტომდეც ხდებოდა სააგენტოს წარმომადგენლებისა (თავად [illegible] ზვიად როსტომაშვილი) და სამინისტროს წარმომადგენლების (თეიმურაზ მურღულია, [illegible] და [illegible] მიერ გამართულ შეხვედრებზე, მათ მიერ 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილით, სამინისტროსადმი წარდგენილი მონაცემების შეჯერება, აქედან გამომდინარე, სიის ოფიციალურად წარდგენამდეც შესაძლოა ამ ინფორმაციას ფლობდა თეიმურაზ მურღულია, რომელიც აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ შეხვედრებში.

[illegible] განმარტავს, რომ სწორედ თეიმურაზ მურღულიასაგან ზემოხსენებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებული სიის საფუძველზე მოხდა სახელმძღვანელოს/სერიის ავტორებთან ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებების გაფორმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს ვალდებულებას წარმოადგენდა, თითოეულ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულის და

რეიტინგის დადგენა და შესაბამის საავტორო უფლების მფლობელებთან ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. წარმოდგენილი განმარტებებით დგინდება, რომ აღნიშნული რეიტინგი სააგენტოს მიერ არ გაკეთებულა, ხოლო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო არა სააგენტომ, არამედ მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულიამ. ამასთან, ინფორმაცია სააგენტომ იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა გაფორმებულიყო ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულება ტირაჟით მიიღო თეიმურაზ მურღულიასაგან 2018 წლის 01 აგვისტოს, მანამ სანამ ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო მონაცემები სააგენტომ სამინისტროს წარუდგინა (2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილით).

გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა

დადგინდა, რომ ცალკეული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების პირობებს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, ბრძანებებით (N25 24/07/2018წ., N56 01/08/2018წ.) გრიფი მიენიჭა და მინისტრის მოადგილის ბრძანებებითვე (N61 03/08/2018წ., N62 03/08/2018წ.) ეს გადაწყვეტილებები ბათილად იქნა ცნობილი, კერძოდ:

- **ID 381** განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, ბრძანებით (N56 01/08/2018წ.) მიენიჭა გრიფი, თუმცა მოგვიანებით ბათილად იქნა ცნობილი (N62 03/08/2018წ.). შემდგომში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას ბრძანებით (N112 17/08/2018წ.) სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე;
- **ID 228** განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, ბრძანებით (N25 24/07/2018წ.) მიენიჭა გრიფი, თუმცა მოგვიანებით ბათილად იქნა ცნობილი (N61 03/08/2018წ.). შემდგომში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას ბრძანებით (N112 17/08/2018წ.) სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე;
- **ID 256** განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, ბრძანებით (N25 24/07/2018წ.) მიენიჭა გრიფი, თუმცა მოგვიანებით ბათილად იქნა ცნობილი (N61 03/08/2018წ.). შემდგომში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას ბრძანებით (N112 17/08/2018წ.) სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

ბათილად ცნობის თაობაზე გამოცემული ორივე ბრძანების (N61, N62) საფუძველს წარმოადგენს თეიმურაზ მურღულიას 2018 წლის 03 აგვისტოს N974425 სამსახურებრივი ბარათი, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მის მიერ გადამოწმებულ იქნა გრიფის მინიჭებასთან დაკავშირებით გამოცემული N25 და N56 ბრძანებების დანართების დოკუმენტური საფუძვლები და გამოვლინდა, რომ N25 ბრძანებაში არასწორად არის შეტანილი ID 228 და ID 256 განაცხადები,

რადგან არსებობს გრიფირების კომისიის წევრების - ,ა
შესაბამისი რეკომენდაცია, ხოლო N56 ბრძანებაში არასწორად არის შეტანილი ID 381 განაცხადი, რადგან არსებობს გრიფირების კომისიის წევრის - შესაბამისი რეკომენდაცია (აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოაღნიშნული განაცხადით წარდგენილი მაკეტის შემთხვევაში გრიფირების კომისიის მიერ გაცემულია უარყოფითი დასკვნა).

ID 381 განაცხადით წარდგენილია I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, ID 228 განაცხადით წარდგენილია I-IV კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო, ხოლო ID 256 განაცხადით წარდგენილია V-VI კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო.

ქართული ენა და ლიტერატურა I კლასი

➢ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 195, ID 381, ID 177, ID 323, ID 359, ID 152, ID 150, ID 297 და ID 247. აღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

ქართული ენა და ლიტერატურა I კლასი			
ID	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)	გრიფი
195	0.931341667	0.961813205	მიენიჭა
381	0.675301282	0.675301282	არ მიენიჭა
177	0.631634689	0.631634689	მიენიჭა
323	0.629776026	0.629776026	მიენიჭა
359	0.624661923	0.624661923	მიენიჭა
152	0.621072766	0.621072766	მიენიჭა
150	0.595381868	0.595381868	მიენიჭა
297	0.561425	0.561425	არ მიენიჭა
247	0.554134487	0.554134487	არ მიენიჭა

საბოლოო შეწონილი ქულების (ახალი) რეიტინგულ სიაში პირველ სამ ადგილს ინაწილებს: ID 195, ID 381 და ID 177. სამივე მათგანისთვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში,

აღნიშნული ID-ებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები ხვდებოდნენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოში/სერიაში. აღნიშნული სამეული შეიცვალა მას შემდეგ, რაც ID 381 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს გრიფი არ მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ID 381 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს მაკეტი აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭების ყველა წინაპირობას, კერძოდ, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, სრულად აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭებისათვის განსაზღვრულ საჭირო შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებს, მან გადალახა კლასისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), დაუდგინდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან, მაკეტი მიჩნეულ იქნა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. როგორც აღინიშნა, თავდაპირველად, აღნიშნულ სახელმძღვანელოს მიენიჭა კიდეც გრიფი, თუმცა მოგვიანებით მისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და საბოლოოდ, უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე. ID 381 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს მაკეტისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შედეგად, რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიას შორის მოხვდა ID 323.

მათემატიკა I-IV კლასები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში I-IV კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოები წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 288, ID 228, ID 125, ID 148, ID 319, ID 315, ID 332, ID 196 და ID 178. აღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

მათემატიკა I-IV კლასები			
ID	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)	გრიფი
288	0.908261985	0.955637985	მიენიჭა
228	0.646815933	0.683878833	არ მიენიჭა
125	0.652224769	0.678791869	მიენიჭა
148	0.635321672	0.664782697	მიენიჭა
319	0.631617792	0.6516694	მიენიჭა
315	0.630819846	0.649178046	არ მიენიჭა

332	0.595491295	0.637710736	მიენიჭა
196	0.584569285	0.635471974	არ მიენიჭა
178	0.617506912	0.617506912	არ მიენიჭა

საბოლოო შეწონილი ქულების (ახალი) რეიტინგულ სიაში პირველ სამ ადგილს ინაწილებდა: ID 288, ID 228 და ID 125. სამივე მათგანისთვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნული ID-ებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები ხვდებოდნენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოში/სერიაში. აღნიშნული სამეული შეიცვალა მას შემდეგ, რაც ID 228 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს გრიფი არ მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ID 228 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭების ყველა წინაპირობას, კერძოდ, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, სრულად აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭებისათვის განსაზღვრულ საჭირო შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებს, მან გადალახა კლასისა და სერიისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), დაუდგინდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან, მაკეტი მიჩნეულ იქნა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. როგორც აღინიშნა, თავდაპირველად, აღნიშნულ სახელმძღვანელოს მიენიჭა კიდეც გრიფი, თუმცა მოგვიანებით მისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და საბოლოოდ, უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე. ID 228 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შედეგად, რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიას შორის მოხვდა ID 148.

მათემატიკა V-VI კლასები

➢ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში V-VI კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოები წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 149, ID 197, ID 311, ID 333, ID **256**, ID 310 და ID 334. აღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

მათემატიკა V-VI კლასები			
ID	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)	გრიფი
149	0.962549785	0.984624985	მიენიჭა
197	0.926380677	0.978065877	არ მიენიჭა
311	0.9528424	0.958432133	მიენიჭა
333	0.9546778	0.9546778	მიენიჭა
256	0.900436	0.925069	არ მიენიჭა
310	0.846486354	0.846486354	მიენიჭა
334	0.828631841	0.828631841	მიენიჭა

საბოლოო შეწონილი ქულების (ახალი) რეიტინგულ სიაში პირველ სამ ადგილს ინაწილებდა: ID 149, ID 197 და ID 311. სამივე მათგანისთვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნული ID-ებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები ხვდებოდნენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოში/სერიაში. აღნიშნული სამეული შეიცვალა მას შემდეგ, რაც ID 197 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს გრიფი არ მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ID 197 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭების ყველა წინაპირობას, კერძოდ, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის თანახმად, სრულად აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭებისათვის განსაზღვრულ საჭირო შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებს, მან გადალახა კლასისა და სერიისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), დაუდგინდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან და მაკეტი მიჩნეულ იქნა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. მიუხედავად ამისა, გრიფირების კომისიამ არ გაუწია რეკომენდაცია აღნიშნულ სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭებაზე. ID 197 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შედეგად, რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიას შორის მოხვდა ID 333.

რაც შეეხება ID 256 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს, იგი აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭების ყველა წინაპირობას, კერძოდ, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, სრულად აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭებისათვის განსაზღვრულ საჭირო შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებს. კერძოდ, მან გადალახა კლასისა და სერიისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), დაუდგინდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან, მაკეტი მიჩნეულ იქნა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. როგორც აღინიშნა, თავდაპირველად, აღნიშნულ სახელმძღვანელოს მიენიჭა კიდეც გრიფი, თუმცა, მოგვიანებით მისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და საბოლოოდ, უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე. ამასთან, ID 256 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შედეგად, რანგირებულ სიაში ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამი) სახელმძღვანელოს/სერიის რიგითობა არ შეცვლილა.

უნდა აღინიშნოს, რომ ID 197 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი არ არის იმ სახელმძღვანელოთა შორის, რომლებიც წარედგინათ სკოლებს ასარჩევად.

ამდენად, ზემოაღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა შეცვალა სახელმძღვანელოთა რეიტინგი, ხოლო ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღებისათვის სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭებამდე ცნობილი იყო ინფორმაცია ფასდაკლების და შესაბამისად, სახელმძღვანელოების საბოლოო შეწონილი ქულების შესახებ, ასევე სკოლების მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ, ამცირებს ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად განხორციელებული ყველა ქმედების ობიექტურობასა და სანდოობას.

საყურადღებოა, რომ სწორედ ID 197 და ID 228 განაცხადებით წარდგენილი მაკეტების შეფასებებში რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს (ქულების მომატება) არ დაეთანხმა მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისია და მიუთითა, რომ უცვლელად დარჩენილიყო აღნიშნული მაკეტების პირვანდელი შეფასება, რისი უფლებამოსილებაც მას არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განაცხადების საბოლოო შეწონილი ქულის (ახალი) გამოყვანისას მონაწილეობს სწორედ შეცვლილი (მომატებული) ქულა (სააგენტოს 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილი).

რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული ცვლილებების (ქულების მომატება) შედეგად, გრიფის მინიჭების შემთხვევაში აღნიშნული სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტები მოხვდებოდნენ რანგირებული სიის ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიას შორის.

ამასთან, იმ განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს შორის, რომლებზეც მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში მოსაზრებები არ შესულა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს მიეცა წვდომა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაზე და მათ შეცვალეს მაკეტის შეფასებები (მოუმატეს ქულები), არის ID 125, ID 148, ID 149 და ID 311 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტები, რომლებიც მოხვდნენ სახელმძღვანელოების/სერიების რანგირებული სიის ყველაზე მაღალი ქულის მქონე 3 (სამ) სახელმძღვანელოს/სერიას შორის.

ბუნებისმეტყველება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში I-IV კლასის სახელმძღვანელოები საგანში **„ბუნებისმეტყველება“** წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 269, ID 155, ID 205, ID 337 და ID 174.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოებიდან გრიფი მიენიჭა ID 269, ID 155, ID 205, ID 337 განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, ხოლო ID 174 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

საგანში **„ბუნებისმეტყველება“** I-IV კლასის სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

ბუნებისმეტყველება I-IV კლასები			
ID	**განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)**	**განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)**	**გრიფი**
269	0.88511522	0.88511522	მიენიჭა
155	0.7253656	0.7253656	მიენიჭა
205	0.688121944	0.688121944	მიენიჭა
337	0.658298686	0.658298686	მიენიჭა
174	0.573609991	0.573609991	არ მიენიჭა

➢ ID 269 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი ბუნებისმეტყველება I-IV კლასები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს **ტექნიკურ კრიტერიუმებს** – მოთხოვნებს.

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, 2018 წლის 27 აგვისტომდე ID 269 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ უდგინდებოდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან – მოთხოვნებთან.

საკითხთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ტექნიკურ რეცენზენტს, რომელმაც განმარტა, რომ მას აღნიშნული სახელმძღვანელოს მაკეტი ტექნიკური რეცენზირების განსახორციელებლად გადაეცა 2018 წლის 26 აგვისტოს, ხოლო ტექნიკური რეცენზირება განახორციელა - 27 აგვისტოს. მისივე განმარტებით, აღნიშნული მაკეტის ტექნიკურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მანამდე არ შეუმოწმებია და რაიმე რეკომენდაცია/მითითება არ მიუცია. საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოს გრიფი მინიჭებული აქვს მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებით.

ამდენად, სახელმძღვანელოს მაკეტს გრიფის მინიჭების დროს არ ჰქონდა გავლილი ტექნიკური რეცენზირება. შესაბამისად, არ აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.

➢ *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი ვალდებულია, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. კორექტირებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიეწოდება შესაბამის (შინაარსობრივ ან ტექნიკურ) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს* ***კორექტირების ავთენტურობის დასადგენად.*** *განმცხადებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აღარ განიხილება გრიფირების შემდეგ ეტაპზე. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავე წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელი, რომლის მიერ გრიფირებაზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო/სერია ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ გრიფის მინიჭების საფუძველს, უფლებამოსილია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით მოსაზრებების განხილვის დროებით კომისიას წარუდგინოს (ელექტრონულად) თავისი დასაბუთებული მოსაზრებები.*

შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე ID **269 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის** მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის/მითითების ავთენტურად. ასევე, სახელმძღვანელოს/სერიის თითოეულმა სახელმძღვანელოს მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე ვერ გადალახა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესით ინდიკატორებისთვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი) - მე-2 კლასის სახელმძღვანელოს ქულა იყო 3.6927926639.

აღნიშნულზე განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N3 (26/06/2018 წ.) ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველმა კომისიამ დაადგინა, რომ სახელმძღვანელოს/სერიის

მაკეტთან დაკავშირებით ინფორმაცი(ებ)ის დაზუსტებისა და კვალიფიციური კონსულტაციების მიღების მიზნით, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი წარედგინოს შესაბამის სარეცენზიო ჯგუფებს და გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის ექსპერტებს. კომისიის სხდომის N4 (10/07/2018 წ.) ოქმის თანახმად, კომისიამ დაადგინა, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე მიღებული დადებითი რეკომენდაციებისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ასევე დადებითი მოსაზრებების გათვალისწინებით, გაზიარებულ იქნეს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შეფასებების ცვლილებები. გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში მე-2 კლასის სახელმძღვანელოს ქულა შეცვლილია და მითითებულია 4.0829935898.

რაც შეეხება მაკეტში განხორციელებული კორექტირების ავთენტურობის შეფასებას, აღნიშნულის თაობაზე, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას გადაწყვეტილება არ მიუღია.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს სააგენტოს წერილი (N921952 18/07/2018წ.), რომლითაც მინისტრის მოადგილისათვის წარდგენილ იქნა რეცენზირების შედეგები. აღნიშნულ შედეგებში ასახული ინფორმაცია ერთ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში არსებულ ინფორმაციასთან: ID 269 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის კლასის ქულა სააგენტოს წერილის (N921952 18/07/2018წ.) თანახმად, არის 3.6927926639, რაც არ შეესაბამება გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ასახულ საბოლოო შეფასებას (4.0829935898). ამდენად, ბრძანების საფუძვლად მითითებულ წერილში (N921952 18/07/2018წ.) ასახული კლასის ქულა არ ლახავდა ინდიკატორებისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულების 79%-იან მინიმალურ ზღვარს (ბარიერს).

- **ID 337 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი ბუნებისმეტყველება I-IV კლასები**

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, ID 337 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე ვერ გადალახა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესით ინდიკატორებისთვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი) - სერიის კონცეპტუალური ერთიანობის საშუალო ქულა არის 3.9333333333.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-

ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის თითოეულმა სახელმძღვანელოს მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე უნდა გადალახოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესით ინდიკატორებისთვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი).

სააგენტომ ID 337-თან მიმართებით წარმოადგინა თავისი პოზიცია (წერილი N1098922 07/09/2018 წ.) და მიუთითა, რომ რეცენზირების დროს სახელმძღვანელოს მაკეტის შინაარსობრივი კრიტერიუმები, ისევე როგორც სერიის კონცეპტუალური ერთიანობა, ფასდება შესაბამისი ქულით, რომელიც გავლენას ახდენს მაკეტის შინაარსობრივი შეფასების საბოლოო ქულაზე, სადაც 80 %-ს შეადგენს მაკეტების გასაშუალოებული ქულა, 20 % - სერიის კონცეპტუალური ერთიანობის ქულა და რომ კრიტერიუმში (სერიის კონცეპტუალური ერთიანობა) მაკეტის შეფასების დროს არ მოქმედებს ინდიკატორისთვის დადგენილი ჯამური ქულების 79%-იანი ბარიერის გადალახვის პრინციპი.

აღნიშნული პოზიცია გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების საფუძველია შემდეგი პირობების ერთობლიობა: ა) სახელმძღვანელოს/სერიის თითოეულმა სახელმძღვანელოს მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე გადალახა **სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესით ინდიკატორებისთვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი)** და სრულად აკმაყოფილებს სახელმძღვანელოს/სერიისათვის დადგენილ მოთხოვნებს; ბ) სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად აკმაყოფილებს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს; გ) განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის **რეცენზირების წესის**“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **მაკეტი ტექნიკურ რეცენზირებას გაივლის თუ სერიის თითოეულმა მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე გადალახა ინდიკატორებისათვის (ცალკე მაკეტისთვის და ცალკე სერიისთვის) დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულის 79%-იანი მინიმალური ზღვარი (ბარიერი).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სერიის თითოეულმა მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე ვერ გადალახა ინდიკატორებისათვის (ცალკე მაკეტისთვის და ცალკე **სერიისთვის**) დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულის 79%-იანი მინიმალური ზღვარი (ბარიერი), ის ვერც ტექნიკურ რეცენზირებას გაივლის, რაც გრიფის მინიჭების საფუძვლებიდან ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.

➢ ID 335 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი ბუნებისმეტყველება V-VI კლასები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი ვალდებულია, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. კორექტირებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიეწოდება შესაბამის (შინაარსობრივ ან ტექნიკურ) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს ***კორექტირების ავთენტურობის დასადგენად.*** *განმცხადებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აღარ განიხილება გრიფირების შემდეგ ეტაპზე. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავე წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელი, რომლის მიერ გრიფირებაზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო/სერია ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ გრიფის მინიჭების საფუძველს, უფლებამოსილია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით მოსაზრებების განხილვის დროებით კომისიას წარუდგინოს (ელექტრონულად) თავისი დასაბუთებული მოსაზრებები.*

ID 335 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების არსებითი შეფასების ეტაპზე ვერ გადალახა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესით ინდიკატორებისთვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი) – მე-5 კლასის სახელმძღვანელოს კლასის ქულა არის 3.9195764329. ამასთან, შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე უარი ეთქვა რეკომენდაციების/მითითების მიცემაზე.

განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის **N1 (21/06/2018 წ.) ოქმის** თანახმად, მაკეტთან დაკავშირებული ინფორმაცი(ებ)ის დაზუსტებისა და კვალიფიციური კონსულტაციების მიღების მიზნით, სამდივნოს დაევალა კომისიის მუშაობაში შესაბამისი საგნის/დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტების ჩართვის უზრუნველყოფა (გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის ექსპერტებისთვის მაკეტების გაცნობა) და გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის ექსპერტების ერთობლივი შეხვედრის ორგანიზება აღნიშნული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებთან დაკავშირებით მიღებული მოსაზრებების დამატებითი განხილვის რელევანტურობის დადგენის მიზნით.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის **N2 (24/06/2018 წ.) ოქმის** თანახმად, ს მიერ კომისიას წარედგინა ანგარიში იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის ობიექტური საფუძვლების შეფასებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განსახილველად წარედგინა გრიფირების კომისიის შესაბამისი საგნის სპეციალისტებს.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N3 (26/06/2018 წ.) ოქმის თანახმად, მიერ კომისიას წარედგინა ანგარიში იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი წარდგენილია გრიფირების კომისიისთვის.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N4 (10/07/2018 წ.) ოქმის თანახმად, მიერ წარმოდგენილ იქნა გრიფირების კომისიის დარგობრივი ექსპერტების დასკვნები სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებთან დაკავშირებით. ამავე ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით გრიფირების კომისიის დარგობრივი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დადებითი/მაღალი შეფასების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის არსებული შეფასების გადასინჯვის მიზნით, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს მიეწოდოს წარმოდგენილი მოსაზრებები/დასკვნები და მიეცეს წვდომა გრიფირების ელექტრონულ სისტემაში, შესაბამის შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებზე.

სხვა რაიმე გადაწყვეტილება ID 335 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ არ მიღებულა.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

აღსანიშნავია, რომ არსებული შეფასების გადასინჯვის მიზნით რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფისათვის მოსაზრებების/დასკვნების მიწოდება და გრიფირების ელექტრონულ სისტემაში წვდომის მიცემა, ცალსახად არ ნიშნავს საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილების შეტანის შესახებ რეკომენდაციის გაცემას. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ გრიფირების ელექტრონულ სისტემაში სახელმძღვანელოს კლასის ქულა შეცვლილი არ არის (ძველი და ახალი ქულა იდენტურია - 3.9195764329), ხოლო რეკომენდაციების გრაფა ცარიელია. შესაბამისად, საგნობრივი ჯგუფის მიერ რაიმე ცვლილება თუ განხორციელდა, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში აღნიშნული არ ასახულა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
I-IV კლასი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში I-IV კლასის სახელმძღვანელოები საგანში **„სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“** წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 347, ID 307, ID 241, ID 157, ID 385, ID 295 და ID 185.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოებიდან გრიფი მიენიჭა ID 347, ID 307, ID 241, ID 157, ID 385 და ID 185 განაცხადებით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, ხოლო ID 295 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

საგანში **„სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“** I-IV კლასის სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-IV კლასი			
ID	**განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)**	**განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)**	**გრიფი**
347	0.982082083	0.982082083	მიენიჭა
307	0.980160866	0.981313766	მიენიჭა
241	0.980930685	0.980930685	მიენიჭა
157	0.967986536	0.967986536	მიენიჭა
385	0.923857076	0.923857076	მიენიჭა
295	0.883165706	0.886967657	არ მიენიჭა
185	0.816852224	0.816852224	მიენიჭა

საკითხის შესწავლის პროცესში ხარვეზები გამოვლინდა შემდეგი განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებთან მიმართებით:

ID 185 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, 2018 წლის 27 აგვისტომდე მაკეტს არ უდგინდებოდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან – მოთხოვნებთან.

საკითხთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ტექნიკურ რეცენზენტს, რომელმაც განმარტა, რომ მას აღნიშნული სახელმძღვანელოს მაკეტი ტექნიკური რეცენზირების განსახორციელებლად გადაეცა 2018 წლის 26 აგვისტოს, ხოლო ტექნიკური რეცენზირება განახორციელა - 27 აგვისტოს. მისივე განმარტებით, აღნიშნული მაკეტის ტექნიკურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მანამდე არ შეუმოწმებია და რაიმე რეკომენდაცია/მითითება არ მიუცია. საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოს გრიფი მინიჭებული აქვს მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 01 აგვისტოს N56 ბრძანებით.

ამდენად, სახელმძღვანელოს მაკეტს გრიფის მინიჭების დროს არ ჰქონდა გავლილი ტექნიკური რეცენზირება. შესაბამისად, არ აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი ვალდებულია, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. კორექტირებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიეწოდება შესაბამის (შინაარსობრივ ან ტექნიკურ) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს **კორექტირების ავთენტურობის დასადგენად.** განმცხადებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აღარ განიხილება გრიფირების შემდეგ ეტაპზე. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავე წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელი, რომლის მიერ გრიფირებაზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო/სერია ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ გრიფის მინიჭების საფუძველს, უფლებამოსილია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით მოსაზრებების განხილვის დროებით კომისიას წარუდგინოს (ელექტრონულად) თავისი დასაბუთებული მოსაზრებები.

შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე ID 185 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის/მითითების ავთენტურად. განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში, თუმცა მაკეტში განხორციელებული კორექტირების ავთენტურობის შეფასების თაობაზე **კომისიას არ მიუღია ცალსახა გადაწყვეტილება, კერძოდ:**

მოსაზრებების განმხილველი [illegible] კომისიის სხდომის N3 (26/06/2018წ.) ოქმის თანახმად, კომისიის წევრს - [illegible] ხოვა სახელმძღვანელოს/სერიის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის ძაკეტის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტურობასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა. კომისიის სხდომის N4 (10/07/2018 წ.) ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის წევრის, [illegible] ბიერ კომისიაზე წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, შემოწმდა მაკეტების ეროვნულ[illegible] სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა და დადგინდა, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი არის რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტური, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და შესაძლებელია გრიფის მინიჭება. ამავე ოქმის თანახმად, აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიამ **გადაწყვიტა,** რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინოს გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის/საგნის სპეციალისტს.

ამდენად, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას ID 185 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით, მაკეტში განხორციელებული კორექტირების ავთენტურობის შეფასების თაობაზე, არ მიუღია ცალსახა გადაწყვეტილება.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, აღნიშნული კომისია უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

გრიფირების კომისიის 2018 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმში მითითებულია, რომ კომისიის წევრებმა (კონსულტანტებმა) დაასრულეს მათთვის გადაცემული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების (ID) განხილვა (დანართი N1) და წარმოადგინეს თავიანთი წერილობითი დასკვნები (დანართი N2), რომლებშიც ასახულია პოზიცია სახელმძღვანელოს/სერიის თითოეული მაკეტისათვის (ID) გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ოქმის თანახმად, კომისიამ კომპეტენციის ფარგლებში განხილული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო დანართი N2-ით (დასკვნები) წარმოდგენილი გადაწყვეტილება. აღნიშნული ოქმის დანართი N1 შეიცავს განხილული სერიების (ID-ები) ჩამონათვალს, რომელთა შორის ID 185 არ არის. მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 31 ივლისის N966405 სამსახურებრივ ბარათს, რომელიც წარმოადგენს ID 185 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების საფუძველს, დანართად ახლავს გრიფირების კომისიის წევრის დასკვნა ID 185 განაცხადით წარმოდგენილ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით, ხოლო გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე, წარმოდგენილი არ არის.

ამდენად, გრიფირების კომისიას კოლეგიურად არ მიუღია გადაწყვეტილება გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე და წარმოდგენილია გრიფირების კომისიის მხოლოდ ერთი წევრის დასკვნა.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

❖ **ID 385 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი**

➢ *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.*

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, 2018 წლის 01 სექტემბრამდე ID 385 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს არ უდგინდებოდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან – მოთხოვნებთან.

საკითხთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ტექნიკურ რეცენზენტს, რომელმაც განმარტა, რომ მას აღნიშნული სახელმძღვანელოს მაკეტი ტექნიკური რეცენზირების განსახორციელებლად გადაეცა 2018 წლის 31 აგვისტოს, ხოლო ტექნიკური რეცენზირება განახორციელა - 01 სექტემბერს. მისივე განმარტებით, აღნიშნული მაკეტის ტექნიკურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მანამდე არ შეუმოწმებია და რაიმე რეკომენდაცია/მითითება არ მიუცია. საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოს გრიფი მინიჭებული აქვს მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 01 აგვისტოს N56 ბრძანებით.

ამდენად, სახელმძღვანელოს მაკეტს გრიფის მინიჭების დროს არ ჰქონდა გავლილი ტექნიკური რეცენზირება. შესაბამისად, არ აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.

- *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი ვალდებულია, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. კორექტირებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიეწოდება შესაბამის (შინაარსობრივ ან ტექნიკურ) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს* ***კორექტირების ავთენტურობის დასადგენად.*** *განმცხადებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აღარ განიხილება გრიფირების შემდეგ ეტაპზე. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავე წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელი, რომლის მიერ გრიფირებაზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო/სერია ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ გრიფის მინიჭების საფუძველს, უფლებამოსილია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით მოსაზრებების განხილვის დროებით კომისიას წარუდგინოს (ელექტრონულად) თავისი დასაბუთებული მოსაზრებები.*

შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე ID 385 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის/მითითების ავთენტურად. განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება აღნიშნულზე მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში. კომისიას მაკეტში განხორციელებული კორექტირების ავთენტურობის შეფასების თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია, კერძოდ:

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N3 (26/06/2018 წ.) ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ ამავე კომისიის წევრს - ეთხოვა სახელმძღვანელოს/სერიის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტურობასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N4 (10/07/2018 წ.) ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი კომისიის წევრის [illegible] ერ კომისიისათვის წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, ვერ მოხერხდა მაკეტის შეთანხმება მასში განხორციელებული ფუნდამენტური ცვლილებების გამო. ამავე ოქმის თანახმად, კომისიამ გადაწყვიტა, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინოს გრიფირების კომისიის შესაბამისი დარგის/საგნის სპეციალისტს. სხვა გადაწყვეტილება ამ მაკეტთან დაკავშირებით კომისიას არ მიუღია.

ამდენად, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას, მაკეტში განხორციელებული კორექტირების ავთენტურობის შეფასების თაობაზე, არ მიუღია გადაწყვეტილება.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის'' მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

➢ *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.*

გრიფირების კომისიის 2018 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმში მითითებულია, რომ კომისიის წევრებმა (კონსულტანტებმა) დაასრულეს მათთვის გადაცემული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების (ID) განხილვა (დანართი N1) და წარმოადგინეს თავიანთი წერილობითი დასკვნები (დანართი N2), რომლებშიც ასახულია პოზიცია სახელმძღვანელოს/სერიის თითოეული მაკეტისათვის (ID) გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ოქმის თანახმად, კომისიამ კომპეტენციის ფარგლებში განხილულ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო დანართი N2-ით (დასკვნები) წარმოდგენილი გადაწყვეტილება. აღნიშნული ოქმის დანართი N1 შეიცავს განხილული სერიების (ID-ები) ჩამონათვალს, რომელთა შორის ID 385 არ არის. მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 31 ივლისის N966405 სამსახურებრივ ბარათს, რომელიც წარმოადგენს ID 385 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების საფუძველს, დანართად ახლავს გრიფირების კომისიის წევრის დასკვნა ID 385 განაცხადით წარმოდგენილ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით, თუმცა გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე, წარმოდგენილი არ არის.

ამდენად, გრიფირების კომისიას კოლეგიურად არ მიუღია გადაწყვეტილება გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე და წარმოდგენილია გრიფირების კომისიის მხოლოდ ერთი წევრის დასკვნა.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
V-VI კლასი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში V-VI კლასის სახელმძღვანელოები საგანში **„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“** წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 88, ID 263, ID 302 და ID 182.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოებიდან ყველას უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

საგანში **„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“** V-VI კლასის სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები V-VI კლასები			
ID	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)	გრიფი
88	0.850974937	0.850974937	არ მიენიჭა
263	0.780445481	0.805960481	არ მიენიჭა
302	0.646805024	0.646805024	არ მიენიჭა
182	0.574523489	0.574523489	არ მიენიჭა

ID 302 და ID 182 განაცხადებით წარდგენილმა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებმა შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე ვერ გადალახეს კლასისა და სერიისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), ამასთან, რეცენზენტების მიერ უარი ეთქვათ რეკომენდაციების/მითითებების მიცემაზე. ID 302 განაცხადის ავტორს აღნიშნულთან დაკავშირებით მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში მოსაზრება არ წარუდგენია და მინისტრის მოადგილის ბრძანებით (**N97 15/08/2018**) უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

ID 182 განაცხადის ავტორის მიერ წარდგენილ იქნა განაცხადი მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში. მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N1 (21/06/2018წ.) ოქმის თანახმად, ID 182 განაცხადზე (შპს „გამომცემლობა დიოგენეს" მიერ „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების" საგანში წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი) წარმოდგენილი მოსაზრების ავტორი არ ეთანხმებოდა საგნობრივი ჯგუფის გადაწყვეტილებას რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის ობიექტური საფუძველი და მოითხოვდა, რომ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეფასებულიყო კომისიის მიერ. კომისიის სხდომის N4 (10/07/2018წ.) ოქმის თანახმად, დადგინდა, რომ უცვლელად დარჩენილიყო ID 182 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შეფასება, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო გრიფირების კომისიის დარგობრივი ექსპერტების საერთო შეფასებებთან. მინისტრის მოადგილის ბრძანებით (**N97 15/08/2018**) ID 182 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

ID 88 განაცხადით წარდგენილმა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე დაძლია კლასისა და სერიისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), მაგრამ მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. აღნიშნულზე განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში. მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის **N1 (21/06/2018 წ.) ოქმის** თანახმად, კომისიის სამდივნოს დაევალა მაკეტების ავთენტურობასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებზე დეტალური ინფორმაციის (კრიტერიუმების მიხედვით) მომზადება. მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის **N3 (26/06/2018 წ.) ოქმის** თანახმად, კომისიის წევრს, ეკატერინე ლეჟავას, ეთხოვა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტურობასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა. მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის **N4 (10/07/2018 წ.) ოქმის** თანახმად,]არმოადგინა ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისობის შესახებ.

_]ცხადებით, შემოწმდა მაკეტების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ძინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა და დადგინდა, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი არის რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტური, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და შესაძლებელია გრიფის მინიჭება.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას აღნიშნულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურობის შეფასების თაობაზე, რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია (საერთოდ არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება).

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

მინისტრის მოადგილის ბრძანებით (**N97 15/08/2018**) ID 88 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

ID 263 განაცხადით წარდგენილმა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტმა შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე დაძლია კლასისა და სერიისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), მაკეტში განხორციელებული კორექტურა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად იქნა მიჩნეული.

ID 263 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის ავტორმა მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში წარადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რეცენზენტთა საგნობრივმა ჯგუფმა ID 263 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა რეკომენდაციის/მითითების ავთენტურად მიიჩნია, თუმცა შეფასების შეცვლაზე რეკომენდაცია არ გაუცია. მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში წარდგენილი განაცხადის თანახმად, ავტორი სერიის/მაკეტის შეფასებას (ქულებს) და დასაბუთებას მიიჩნევდა შეუსაბამოდ და ითხოვდა ქულის მომატებას.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N1 (21/06/2018წ.) ოქმის თანახმად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ID 263 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის არსებული შეფასებების გადასინჯვის მიზნით, რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს მიწოდებოდა წარდგენილი მოსაზრებები და მისცემოდა წვდომა გრიფირების ელექტრონულ სისტემაში, შესაბამის შინაარსობრივ შეფასების კრიტერიუმებზე.

აღნიშნულის შემდგომ, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ ID 263 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შეფასებაში რაიმე კორექტურის თაობაზე მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას არ უმსჯელია და გადაწყვეტილება აღარ მიუღია და არსად არის აღნიშნული, რომ რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განხორციელდა რაიმე სახის კორექტურა. მიუხედავად ამისა, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ასახულია კორექტირებული (მომატებული) ქულა, რომელიც გამოყენებულია აღნიშნული სახელმძღვანელოს საბოლოო შეწონილი ქულის (ახალი) გამოთვლისას (სააგენტოს 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილის თანახმად).

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

მინისტრის მოადგილის ბრძანებით (N112 17/08/2018) ID 263 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

როგორც აღინიშნა, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის ოქმები არ შეიცავს რაიმე გადაწყვეტილებას ID 263 და ID 88 განაცხადებთან მიმართებით წარდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს იურისტება [illegible], [illegible]ნმარტა, რომ მოსაზრებების კომისიას იმიტომ აღარ მიუღია კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომ გამომცემლობა „დიოგენე"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ელექტრონულ მასალასთან ერთად ეხებოდა ხსენებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეგირების მიზნით მოსაზრებების კომისიის გადაწყვეტილებით გადაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

[illegible]ევე განმარტავს, რომ აღნიშნულ საგანში გრიფირების პროცედურა დროებით შეწყდა და აღარ გაგრძელებულა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაზედაც იყო საუბარი მოსაზრებების კომისიის სხდომაზე (10/07/2018წ. ოქმი N4), თუმცა არ არის აღწერილი ოქმში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდება არ გამორიცხავდა მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის შესაძლებლობას, განეხილა წარდგენილი მოსაზრებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ამ კუთხით გრიფირების პროცესის შეჩერება დაუსაბუთებელია, მით უფრო, რომ მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის ოქმებში არაფერია მითითებული პროცესის შეჩერების შესახებ. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც გამომცემლობა „დიოგენე"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის პროცესი არ დასრულებულა, მინისტრის მოადგილის ბრძანებებით (N97 15/08/2018; N112 17/08/2018) ID 88 და ID 263 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

რაც შეეხება მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ საკითხის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ან/და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსათვის გადაგზავნას, აღნიშნულზე დადგინდა შემდეგი:

2018 წლის 18 ივნისს გამომცემლობა დიოგენემ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს კორესპონდენციით (N746189 18/06/2018წ.), რომელიც ეხებოდა მათი სახელმძღვანელოს თაობაზე რეცენზენტების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების ანონიმურობის დარღვევას და ინტერესთა კონფლიქტს.

აღნიშნული კორესპონდენცია დანართთან ერთად ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში (eFlow) დაეწერა სააგენტოს

ID 182 განაცხადის ავტორის მიერ მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიისათვის წარდგენილი ინფორმაცია, რიგ შემთხვევაში ემთხვევა 2018 წლის 18 ივნისის კორესპონდენციის (N746189 18/06/2018წ.) დანართებად მითითებულ მასალებს. [illegible] განმარტებით, აღნიშნული მსგავსებიდან გამომდინარე, მან ხსენებული კორესპონდენცია 2018 წლის 15 ივნისის ID 182-ის მოსაზრებასთან ერთად წარუდგინა კომისიას განსახილველად.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N4 (10/07/2018წ.) ოქმის თანახმად, კომისიამ მოისმინა კომისიის წევრის [illegible] ინფორმაცია გამომცემლობა დიოგენეს მიერ ID 263 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტზე წარდგენილ განცხადებასთან (საჩივარი), თანმართულ დოკუმენტებთან და ელექტრონულ მასალასთან დაკავშირებით [illegible] განმარტებით, იგულისხმება 2018 წლის 15 ივნისის კორესპონდენცია, რომელიც ID 182-მა წარმოადგინა grifireba@emis.ge-ზე და ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში შემოსული კორესპონდენცია N746189 18/06/2018წ.). ამავე ოქმის თანახმად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამომცემლობა დიოგენეს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ავთენტურობის დადგენისა და საკითხის ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მასალები გადაგზავნოდა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს ან/და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხოლო მასალის შესაბამის უწყებებში გადაგზავნის უზრუნველყოფა დაევალა ამავე კომისიის სამდივნოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 10 ივლისს კომისიამ დაადგინა, რომ შპს „გამომცემლობა დიოგენეს" მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ავთენტურობის დადგენისა და საკითხზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, **მასალები გადაგზავნოდა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს ან/და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს,** ხოლო მასალის შესაბამის უწყებებში გადაგზავნის უზრუნველყოფა **დაევალა ამავე კომისიის სამდივნოს.** მიუხედავად აღნიშნული დავალებისა, კორესპონდენციები (N961586, N966331) ადრესატებს გაეგზავნათ 2018 წლის 30 ივლისსა და 31 ივლისს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის სხდომის ოქმის შედგენა განეკუთვნება კომისიის სამდივნოს ფუნქციებს, ხოლო „გ" ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის მიერ მიცემული დავალებების ან/და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი განეკუთვნება კომისიის სამდივნოს ფუნქციებს. გარდა ამისა, როგორც კომისიის ოქმებიდან იკვეთება, თითქმის ყოველ მომდევნო სხდომაზე სამდივნო წარუდგენდა კომისიას წინა სხდომაზე მისთვის დავალებული საკითხების შესრულების თაობაზე ანგარიშს, თუმცა აღნიშნული ვალდებულება, ზემოხსენებული მასალების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის ან/და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის გადაგზავნის თაობაზე, შეასრულა თუ არა, სამდივნოს კომისიისათვის არ წარუდგენია.

ინფორმაციის მიღების მიზნით შიდა აუდიტის დეპარტამენტში მოწვეულ იქნა სამდივნოს უფროსი, [illegible], თუმცა მან უარი განაცხადა შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემაზე და მიუთითა, რომ არ აქვს სურვილი კომისიის მუშაობის თაობაზე ინფორმაცია წერილობით დააფიქსიროს, ვინაიდან ეხება იმ პერიოდს, როდესაც მასსა და სააგენტოს შორის შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილი იყო.

საკითხის შესწავლისას, თუ რატომ არ მოხდა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება, [illegible] ,ანმარტა, რომ კომისიის სხდომის **ოქმის (N4 10/07/2018წ.) პროექტი უფლებამოსილ პირთა მიერ არ ყოფილა ხელმოწერილი 2018 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე**, შესაბამისად, კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას **სამართლებრივი ძალა მიეცემოდა სწორედ ხელმოწერის შემდგომ.** აღსანიშნავია, რომ კომისიის სხდომის **ოქმის შედგენა** წარმოადგენდა კომისიის **სამდივნოს ფუნქციას.**

როგორც უკვე აღინიშნა, მასალის შესაბამის უწყებებში გადაგზავნის უზრუნველყოფა დაევალა ამავე კომისიის სამდივნოს. ამასთან, სააგენტოს იურისტის, [illegible] განმარტებით, **კომისიის სამდივნოს წევრებს არ აქვთ** საკუთარი მომხმარებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში **(eFlow).** აქედან გამომდინარე, **სამდივნო** ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის (eFlow) მეშვეობით, დამოუკიდებლად მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეხდინა კომისიის მიერ მიღებული ხსენებული დავალების შესრულება. ამასთან, მასალების გაგზავნა, საბოლოო ჯამში, მოხდა არა კომისიის, არამედ სხვა პირის სახელით (სააგენტოს დირექტორი, ზვიად როსტომაშვილი) და მომზადდა არა კომისიის სამდივნოს, არამედ სხვა პირის მიერ (სააგენტოს [illegible]

აღსახიშნავია, რომ მასალების გაგზავნას წინ უძღოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას წერილი (N947381 26/07/2018წ.), რომლითაც მან მიმართა სააგენტოს დირექტორს, ზვიად როსტომაშვილს და მიუთითა, რომ **დავალებოდა შესაბამის სამსახურს დროულად მოეხდინა ექსპერტიზისა და შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის ზემოხსენებული დოკუმენტაციის გადაგზავნა,** კორესპონდენცია **შესასრულებლად** ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში (eFlow) **დაეწერა** [illegible] . მართალია, [illegible] ის განმარტებით, მის ვალდებულებას არ წარმოადგენდა აღნიშნული ქმედების განხორციელება, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამდივნოს წევრებს, როგორც უკვე აღინიშნა, არ ჰქონდათ წვდომა ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე, ხოლო [illegible] **ბ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ის ვალდებულია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის შესაბამისად უზრუნველყოს სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ორგანიზება და სამართლებრივი მხარდაჭერა.** აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 20 სექტემბრის N1119651 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ გრიფირების გამჭვირვალე, ხარისხზე ორიენტირებული და მდგრადი სისტემის შესამუშავებლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესში" განსაზღვრული უფლებამოსილებების გარდა, ასევე, უზრუნველყოს გრიფირების III ეტაპის - "რეცენზირება/მოსაზრებების განხილვა" ჩატარება. შესაბამისად, სააგენტოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის მოიაზრება კომისიის მუშაობის ორგანიზებაც. აქედან გამომდინარე, **ის ფაქტი, რომ დროულად არ მოხდა კომისიის გადაწყვეტილების შესრულება, უთითებს კომისიისა და სააგენტოს მუშაობის არაჯეროვან კოორდინაციასა და ორგანიზებაზე.**

რაც შეეხება კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების **შესრულების მონიტორინგს,** აღნიშნულიც **ევალებოდა თავად კომისიის სამდივნოს.** აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, კომისიის სამდივნოსათვის გარკვეული დავალების მიცემა, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე სამდივნოსათვის მისი შესრულების მონიტორინგის გაწევის ვალდებულების დაკისრება **არის**

არაეფექტური/მიზანშეუწონელი და ვერ ჩაითვლება შედეგზე ორიენტირებულ კონტროლის მექანიზმად. ამასთან, ახსნა-განმარტებიდან იკვეთება, რომ სამდივნოს რაიმე ქმედითი ღონისძიება კომისიის აღნიშნული დავალების შესრულებისა თუ შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, არ გაუტარებია.

მე და საზოგადოება III-IV კლასები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში III-IV კლასის სახელმძღვანელოები საგანში **„მე და საზოგადოება“** წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 278, ID 384, ID 252 და ID 322.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოებიდან გრიფი მიენიჭა მხოლოდ ID 278 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს, ხოლო ყველა დანარჩენს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

საგანში **„მე და საზოგადოება“** III-IV კლასის სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

მე და საზოგადოება III-IV კლასები			
ID	**განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)**	**განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)**	**გრიფი**
278	0.906440415	0.906440415	მიენიჭა
384	0.753566646	0.753566646	არ მიენიჭა
252	0.741498385	0.741498385	არ მიენიჭა
322	0.668498464	0.668498464	არ მიენიჭა

❖ **ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი**

➢ *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.*

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს 2018 წლის 27 აგვისტომდე არ უდგინდებოდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან – მოთხოვნებთან.

საკითხთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ტექნიკურ რეცენზენტს, , რომელმაც განმარტა, რომ მას აღნიშნული სახელმძღვანელოს მაკეტი ტექნიკური რეცენზირების განსახორციელებლად გადაეცა 2018 წლის 26 აგვისტოს, ხოლო ტექნიკური რეცენზირება განახორციელა - 27 აგვისტოს. მისივე განმარტებით, აღნიშნული მაკეტის ტექნიკურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მანამდე არ შეუმოწმებია და რაიმე რეკომენდაცია/მითითება არ მიუცია. საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოს გრიფი მინიჭებული აქვს მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 21 აგვისტოს N113 ბრძანებით.

ამდენად, სახელმძღვანელოს მაკეტს გრიფის მინიჭების დროს არ ჰქონდა გავლილი ტექნიკური რეცენზირება. შესაბამისად, არ აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.

➢ *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი ვალდებულია, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. კორექტირებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიეწოდება შესაბამის (შინაარსობრივ ან ტექნიკურ) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს **კორექტირების ავთენტურობის დასადგენად.** განმცხადებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აღარ განიხილება გრიფირების შემდეგ ეტაპზე. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავე წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელი, რომლის მიერ გრიფირებაზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო/სერია ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ გრიფის მინიჭების საფუძველს, უფლებამოსილია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით მოსაზრებების განხილვის დროებით კომისიას წარუდგინოს (ელექტრონულად) თავისი დასაბუთებული მოსაზრებები.*

ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. აღნიშნულზე განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში, თუმცა კომისიას მაკეტში განხორციელებული კორექტირების ავთენტურობის შეფასების თაობაზე, არ მიუღია გადაწყვეტილება, კერძოდ:

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N3 (26/06/2018წ.) ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი კომისიის მიერ ამავე კომისიის წევრს - _თხოვა სახელმძღვანელოს/სერიის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტურობასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N4 (10/07/2018 წ.) ოქმის მიხედვით, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის წევრის , მიერ კომისიისათვის წარდგენილი **ინფორმაციის** თანახმად, შემოწმდა მაკეტების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა და დადგინდა, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი არის რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტური, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და შესაძლებელია გრიფის მინიჭება.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას ამ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით მაკეტში განხორციელებული კორექტირების ავთენტურობის შეფასების თაობაზე, არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება.

ამასთან, მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საგანში ,,მე და საზოგადოება'' წარმოდგენილი სახელმძღვანელოების თაობაზე (ID 278 განაცხადით სახელმძღვანელო წარმოდგენილია საგანში ,,მე და საზოგადოება''). კერძოდ, კომისიის სხდომის N5 (24/07/2018 წ.) ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის წევრების აზრით, დარგობრივი ექსპერტებისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების შეფასებები ,,მე და საზოგადოების'' სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით არის წინააღმდეგობრივი, ამიტომ ვერ ხერხდება მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი სახელმძღვანელოების გამოვლენა. ასევე, გასათვალისწინებელია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი ამ საგნის მიმართ. კომისიამ დაადგინა, რომ იმისათვის, რომ აღნიშნულ საგანში იყოს სრულყოფილი და ხარისხიანი სახელმძღვანელოები, ავტორებისა და შესაბამისი დარგობრივი ექსპერტების ძალისხმევით უნდა მოხდეს წარმოდგენილი სახელმძღვანელოების გადამუშავება გრიფირებისათვის აუცილებელი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

აღსანიშნავია, რომ გრიფირება ოთხი ეტაპისაგან შედგება და ამ ეტაპებს შორის **სახელმძღვანელოს გადამუშავება** არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის უფლებამოსილება დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესით", რომლის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

,ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

ამდენად, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება მიეღო გადაწყვეტილება სახელმძღვანელოების გადამუშავების შესახებ, ამასთან კომისიას

წარდგენილ მოსაზრებაზე არ მიუღია ის გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც მას სამართლებრივი აქტით ევალებოდა.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N6 (30/08/2018წ.) ოქმის თანახმად, ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების ექსპერტს [illegible] ეთხოვა ექსპერტების მიერ გამოთქმული პოზიციების შეჯერება ავტორებთან. შედეგად, ID 278-ის საავტორო [illegible]ფს მიეწოდა დამატებითი მითითებები. ამავე ოქმის თანახმად, [illegible] კომისიას მიაწოდა ინფორმაცია გაწეული სამუშაოს შესახებ. მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ, ამავე სხდომაზე (30/08/2018) დაადგინა, რომ ID 278 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით გრიფირების კომისიის დარგობრივი ექსპერტების დადებითი რეკომენდაციებისა (დასკვნები) და მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის წევრის, [illegible], მიერ წარმოდგენილი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების გათვალისწინებით, ეთხოვოს სააგენტოს მაკეტების ტექნიკური რეცენზირების უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემების გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ასახვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება ჩამოერთვა შპს გამომცემლობა სიდი - ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (ID278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს გამომცემლობა) წარმომადგენელს, [illegible] ომლის ინფორმაციით, 2018 წლის 24 ივლისის შემდგომ პერიოდში მას ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი და სთხოვა სამინისტროში შეხვედრაზე მისვლა. ინფორმაციით, შეხვედრის ფარგლებში მას გადაეცა გრიფირების კომისიის რეკომენდაციები და ეთხოვა, რომ ექსპერტის [illegible] ართულობით რედაქტირება განეხორციელებინა სახელმძღვანელოში. შეხვედრაზე მოხდა მოსაზრებების შეჯერება მისი (არის სახელმძღვანელოს ავტორი) და ექსპერტის [illegible], მონაწილეობით. ამის შემდგომ, იმავე დღეს ან მომდევნო დღეებში, [illegible] გადასცა მატერიალური სახით ანონიმურ ექსპერტთა დასკვნები და გრიფირების კომისიისა და ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე, განხორციელდა არსებული სახელმძღვანელოს რედაქტირება (ეს არ ყოფილა გადამუშავება, რადგან ცვლილებები იყო მცირე და არა ფართომაშტაბიანი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ID 278-ის ავტორს მიეწოდა დამატებითი მითითებები, რომელთა შესაბამისად მოხდა არსებული სახელმძღვანელოს რედაქტირება.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გრიფირების განმავლობაში **განმცხადებელს ეკრძალება სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის გრიფირებისათვის წარმოდგენილ რედაქციაში შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის კორექტირება, გარდა** ამ წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, განმცხადებელი ვალდებულია, **რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია.**

- როგორც აღინიშნა, საგანში ,,მე და საზოგადოება'' გრიფირების პროცესში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი იყო ოთხი განაცხადი:

განაცხადი	კლასის ქულა
ID252 - შპს „გამომცემლობა კლიო“; საზოგადოებრივი მეცნიერებები > მე და საზოგადოება	III: 4.1694302198 IV: 4.2698807692
ID278 - შპს „გამომცემლობა სიდი - ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი“; საზოგადოებრივი მეცნიერებები > მე და საზოგადოება	III: 4.11718663 IV: 4.2121065018
ID322 - შპს „გამომცემლობა პალიტრა L“; საზოგადოებრივი მეცნიერებები > მე და საზოგადოება	III: 3.355925 IV: 3.6203230769
ID384 - შპს „გამომცემლობა ტრიასი“; საზოგადოებრივი მეცნიერებები > მე და საზოგადოება	III: 4.3482820513 IV: 4.2273128205

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N6 (30/08/2018 წ.) ოქმში აღნიშნულია ინფორმაცია მხოლოდ ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით და არაფერია მითითებული საგანში „მე და საზოგადოება“ წარდგენილ დანარჩენ 3 სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საგანში ,,მე და საზოგადოება'' სახელმძღვანელოების გადამუშავების შესახებ (ოქმი N 5 24/07/2018), შპს „გამომცემლობა კლიოს“ (ID252), შპს „გამომცემლობა პალიტრა L“-ის (ID322), შპს „გამომცემლობა ტრიასის“ (ID384) წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ საგანში მათი გამომცემლობების მიერ წარდგენილი სახელმძღვანელოების გადამუშავების/კორექტირების მიზნით სამინისტროს წარმომადგენელი არ დაკავშირებია. როგორც აღინიშნა, მხოლოდ შპს გამომცემლობა სიდი - ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (ID278) წარმომადგენელმა, [illegible], განაცხადა, რომ გრიფირების კომისიისა და ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე, განხორციელდა არსებული სახელმძღვანელოს რედაქტირება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოებიდან ერთ-ერთმა - ID322 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტმა - ვერ დააკმაყოფილა გრიფის მინიჭების ყველა საფუძველი/პირობა: შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე ვერ გადალახა ინდიკატორებისთვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი), განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. აღნიშნულზე განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში, თუმცა კომისიამ დაადგინა (ოქმი N 4 10/07/2018), რომ შესაბამისი საგნობრივი ჯგუფისა და გრიფირების კომისიის შესაბამისი საგნის/დარგის სპეციალისტების მოსაზრებების გათვალისწინებით, უცვლელად დარჩეს რეცენზენტების მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შეფასება ავთენტურობასთან დაკავშირებით. **ID 322 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით გრიფირების კომისიის ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ** ,,*სასურველია ტექსტის სერიოზული გადახედვა. შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს აქვს პოტენციალი აუცილებელი შესწორებების საფუძველზე იქცეს მოქალაქეობრივი კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) განვითარების ხელშემწყობ სასწავლო რესურსად''.*

რაც შეეხება დარჩენილ ორ სახელმძღვანელოს - ID 252 და ID 384 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, სრულად აკმაყოფილებენ გრიფის მინიჭებისათვის განსაზღვრულ საჭირო შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმებს. კერძოდ, მათ

გადალახეს კლასისა და სერიისათვის დადგენილი მაქსიმალური ჯამური ქულებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი (ბარიერი) და ამასთან, დაუდგინდათ სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან და ორივე ID-ით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიჩნეულ იქნა რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. თუმცა, გრიფირების კომისიის ექსპერტების დასკვნების თანახმად, აღნიშნულ სახელმძღვანელოებს სჭირდებოდა საფუძვლიანი **გადამუშავება** და მიუღებელი იყო მათი არსებული ფორმით დაბეჭდვა. აღსანიშნავია, რომ ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით გრიფირების კომისიის წევრის დასკვნაში მითითებულია შემდეგი: ,,დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის მხედველობითი აღქმა, ამ მხრივ, კარგი იქნება სახელმძღვანელოს საფუძვლიანი გადახედვა და ერთიანი ხედვის შემუშავება. სასურველია, ტექსტის სერიოზული გადახედვა - შინაარსი, სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს აქვს პოტენციალი აუცილებელი შესწორებების საფუძველზე იქცეს მოქალაქეობრივი კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, კომპეტენციები) განვითარების ხელშემწყობ სასწავლო რესურსად''.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და გრიფირების კომისიის ექსპერტების დასკვნებისა, დამატებითი მითითებები მიეწოდა მხოლოდ ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის ავტორს. რაც შეეხება ID 252, ID 384, ID 322 განაცხადებით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებს, მათ უარი ეთქვათ გრიფის მინიჭებაზე (ბრძანებები N97 15/08/2018წ., N112 17/08/2018წ.).

- ID 278 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს გრიფი მიენიჭა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 21 აგვისტოს N113 ბრძანებით. **მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის N6 სხდომის ოქმი, რომელშიც საუბარია** ID 278-ის საავტორო ჯგუფისათვის დამატებითი მითითებების მიწოდებასა და გაწეული სამუშაოს შესახებ კომისიისათვის ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ **თარიღდება, 2018 წლის 30 აგვისტოთი, ხოლო ID 278 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს გრიფი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის N113 ბრძანებით მიენიჭა უფრო ადრე, კერძოდ - 2018 წლის 21 აგვისტოს.**

- 2018 წლის 21 აგვისტოს N113 ბრძანების საფუძვლად მითითებულია N1018097 17/08/2018 სამსახურებრივი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ **ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილს (N973691, 02.08.2018 წ.), გრიფირების კომისიის (ბრძანება N516, 29.05.2018 წ.) თავმჯდომარის ანგარიშს (N922025, 18.07.2018 წ.), მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის (ბრძანება N586, 20.06.2018 წ.) გადაწყვეტილებებსა და მინისტრის მოადგილის სამსახურებრივ ბარათს (N996502, 09.08.2018 წ.).**

გრიფირების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშში (N922025 18/07/2018 სამსახურებრივი ბარათი) აღნიშნულია, რომ გრიფირების კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განსახილველად გადაცემული სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის (ID) გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რაც წარდგენილია აღნიშნულ მოხსენებით ბარათზე დანართების სახით. აღნიშნულ ანგარიშს დანართად ახლავს გრიფირების კომისიის 2018 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ კომისიის წევრებმა (კონსულტანტებმა) დაასრულეს მათთვის გადაცემული დაწყებითი საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების (ID) განხილვა (დანართი N1) და წარმოადგინეს თავიანთი წერილობითი დასკვნები (დანართი N2), რომლებშიც ასახულია პოზიცია სახელმძღვანელოს/სერიის თითოეული მაკეტისათვის (ID) გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ოქმის თანახმად, კომისიამ კომპეტენციის ფარგლებში განხილულ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო დანართი N2-ით (დასკვნები) წარმოდგენილი გადაწყვეტილება.

ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით კომისიის წევრის დასკვნაში, რომელიც წარმოადგენს გრიფირების კომისიის 2018 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმის დანართი N2-ის ნაწილს, მითითებულია შემდეგი:

„დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის მხედველობითი აღქმა, ამ მხრივ, კარგი იქნება სახელმძღვანელოს საფუძვლიანი გადახედვა და ერთიანი ხედვის შემუშავება." ,,სასურველია, ტექსტის სერიოზული გადახედვა - შინაარსი, სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია". ,,შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს აქვს პოტენციალი აუცილებელი შესწორებების საფუძველზე იქცეს მოქალაქეობრივი კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, კომპეტენციები) განვითარების ხელშემწყობ სასწავლო რესურსად."

გრიფირების კომისიის მიერ აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული რაიმე ახალი გადაწყვეტილება სამსახურებრივ ბარათს დანართად არ ახლავს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ამდენად, ID 278 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის კორექტირებული ვერსიისათვის გრიფის მინიჭების/გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გრიფირების კომისიას გადაწყვეტილება არ მიუღია.

ჩვენი საქართველო
V-VI კლასები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების პროცესში V-VI კლასის სახელმძღვანელოები საგანში **"ჩვენი საქართველო"** წარდგენილი იყო შემდეგი განაცხადებით: ID 387, ID 251, ID 284, ID 224 და ID 326.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოებიდან გრიფი მიენიჭა მხოლოდ ID 251 განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს, ხოლო ყველა დანარჩენს უარი ეთქვა გრიფის მინიჭებაზე.

საგანში **„ჩვენი საქართველო“** V-VI კლასის სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილი ქულები გამოიყურება შემდეგნაირად:

ჩვენი საქართველო V-VI კლასები			
ID	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ძველი)	განაცხადის საბოლოო შეწონილი ქულა (ახალი)	გრიფი
387	0.862990131	0.862990131	არ მიენიჭა
251	0.755169857	0.755169857	მიენიჭა
284	0.751400313	0.751400313	არ მიენიჭა
224	0.710249816	0.710249816	არ მიენიჭა
326	0.70513611	0.70513611	არ მიენიჭა

საკითხის შესწავლის პროცესში ხარვეზები გამოვლინდა შემდეგი განაცხადით წარდგენილ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებთან მიმართებით:

❖ ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი:

➢ *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.*

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, 2018 წლის 01 სექტემბრამდე მაკეტს არ უდგინდებოდა სრული შესაბამისობა ტექნიკურ კრიტერიუმებთან – მოთხოვნებთან.

საკითხთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ტექნიკურ რეცენზენტს, რომელმაც განმარტა, რომ მას აღნიშნული სახელმძღვანელოს მაკეტი ტექნიკური რეცენზირების განსახორციელებლად გადაეცა 2018 წლის 31 აგვისტოს, ხოლო ტექნიკური რეცენზირება განახორციელა - 01 სექტემბერს. მისივე განმარტებით, აღნიშნული მაკეტის ტექნიკურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მანამდე არ შეუმოწმებია და რაიმე რეკომენდაცია/მითითება არ მიუცია. საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოს გრიფი მინიჭებული აქვს მინისტრის მოადგილის, თეიმურაზ მურღულიას, 2018 წლის 31 აგვისტოს N142 ბრძანებით.

ამდენად, სახელმძღვანელოს მაკეტს გრიფის მინიჭების დროს არ ჰქონდა გავლილი ტექნიკური რეცენზირება. შესაბამისად, არ აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ კრიტერიუმებს – მოთხოვნებს.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი ვალდებულია, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. კორექტირებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიეწოდება შესაბამის (შინაარსობრივ ან ტექნიკურ) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს **კორექტირების ავთენტურობის დასადგენად.** განმცხადებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აღარ განიხილება გრიფირების შემდეგ ეტაპზე. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ასახულია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავე წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელი, რომლის მიერ გრიფირებაზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო/სერია ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ გრიფის მინიჭების საფუძველს, უფლებამოსილია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით მოსაზრებების განხილვის დროებით კომისიას წარუდგინოს (ელექტრონულად) თავისი დასაბუთებული მოსაზრებები.

- **ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით,** შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად. აღნიშნულზე განმცხადებლის მიერ წარდგენილ იქნა მოსაზრება მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაში, თუმცა კომისიამ უცვლელად დატოვა სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებები.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N3 (26/06/2018 წ.) ოქმის თანახმად, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის მიერ ამავე კომისიის წევრს, ას, ეთხოვა სახელმძღვანელოს/სერიის (სერიაში შემავალი თითოეული კლასის მაკეტის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ავთენტურობასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N4 (10/07/2018 წ.) ოქმის მიხედვით, კომისიის წევრის, ს, მიერ კომისიისათვის წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, შემოწმდა მაკეტების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობა და დადგინდა, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი შეუსაბამოა. ამავე ოქმის თანახმად, მოსაზრებების

განმხილველი დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით, უცვლელად იქნა დატოვებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების შეფასებები.

ამდენად, შინაარსობრივი რეცენზირების ეტაპზე განმცხადებლის მიერ ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში განხორციელებული კორექტურა არ იქნა მიჩნეული **რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების/მითითებების ავთენტურად და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების შეფასებები უცვლელად დატოვა მოსაზრებების განმხილველმა დროებითმა კომისიამ.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის გრიფირების ეტაპებია:

ა) I ეტაპი – გრიფირების გამოცხადება;

ბ) II ეტაპი – განაცხადების რეგისტრაცია;

გ) III ეტაპი – რეცენზირება/მოსაზრების განხილვა;

დ) IV ეტაპი – გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი გრიფირების მომდევნო ეტაპზე გადადის მხოლოდ წინა ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

*ამავე წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი ვალდებულია, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას/მითითებას შეიცავს რეცენზია. კორექტირებული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი მიეწოდება შესაბამის (შინაარსობრივ ან ტექნიკურ) რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფს კორექტირების ავთენტურობის დასადგენად. განმცხადებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში **სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი აღარ განიხილება გრიფირების შემდეგ ეტაპზე.** ამავე წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების **საფუძვლებიდან ერთ-ერთ პირობას** წარმოადგენს განმცხადებლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ გაცემული **რეკომენდაციები/მითითებების ასახვა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).*

შესაბამისად, ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი არ აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭების საფუძვლებიდან ერთ-ერთ პირობას და **გრიფირების შემდეგ ეტაპზე (IV ეტაპი – გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება) მისი განხილვა აღარ უნდა მომხდარიყო.**

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის N5 (24/07/2018 წ.) ოქმის თანახმად, კომისიის წევრების აზრით, დარგობრივი ექსპერტებისა და რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების შეფასებები ,,ჩვენი საქართველოს'' სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივია, ამიტომ ვერ ხერხდება მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი სახელმძღვანელოების გამოვლენა, ასევე, გასათვალისწინებელია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი ამ საგნის მიმართ. კომისიამ დაადგინა, რომ იმისათვის, რომ აღნიშნულ საგანში იყოს სრულყოფილი და ხარისხიანი სახელმძღვანელოები, ავტორებისა და შესაბამისი დარგობრივი ექსპერტების ძალისხმევით უნდა მოხდეს წარმოდგენილი სახელმძღვანელოების გადამუშავება გრიფირებისათვის აუცილებელი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გრიფირება ოთხი ეტაპისაგან შედგება და ამ ეტაპებს შორის **სახელმძღვანელოს გადამუშავება** არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის უფლებამოსილება დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 20 ივნისის N584 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესით", რომლის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული კომისია მოსაზრებებთან დაკავშირებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

ა) უარი თქვას მოსაზრების წარმოებაში მიღებაზე, როდესაც მოსაზრების ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად უცვლელი დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასება;

გ) მიიღოს მოსაზრება წარმოებაში და განხილვის შედეგად გასცეს რეკომენდაცია რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის შეფასებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით.

ამდენად, მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება მიეღო გადაწყვეტილება სახელმძღვანელოების გადამუშავების შესახებ.

მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის **სხდომის N6 (30/08/2018 წ.) ოქმის** თანახმად, საგანში ,,ჩვენი საქართველო'', სადაც არც ერთმა სახელმძღვანელომ არ გადალახა ორივე ეტაპის ბარიერი, დარგობრივი კომისიის ექსპერტს ეთხოვა ბაერიერგადალახული სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვერსიის შესწავლა და პოზიციის წარმოდგენა, რისთვისაც მოწვეული იქნა მოსაზრებების განმხილველ დროებით კომისიაზე. ამავე სხდომაზე გრიფირების კომისიის წევრმა, კომისიას წარუდგინა მისი პოზიცია გადამუშავებულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით. ამავე სხდომაზე კომისიამ **დაადგინა,** რომ ID 251 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით, ეთხოვოს სააგენტოს მაკეტების ტექნიკური რეცენზირების უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემების გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში ასახვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი არ აკმაყოფილებდა გრიფის მინიჭების საფუძვლებიდან ერთ-ერთ პირობას. საგანში ,,ჩვენი საქართველო'' გრიფირებისათვის წარდგენილი იყო ასევე სხვა სახელმძღვანელოები (ID224, ID284, ID326, ID387 განაცხადები), რომლებმაც ასევე ვერ გადალახეს წარმატებით გრიფირების **III ეტაპი – რეცენზირება/მოსაზრების განხილვა, ვინაიდან ვერ დააკმაყოფილეს** გრიფის მინიჭების საფუძვლებიდან ერთ-ერთი/რამდენიმე პირობა. გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობა არ ადგენს გრიფის მინიჭების საფუძვლებიდან რომელიმე პირობის უპირატესობას სხვა პირობების მიმართ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების საფუძველია გრიფის მინიჭების პირობების ერთობლიობა. ამდენად, **არ არის დასაბუთებული, რა საფუძვლით ეთხოვა ექსპერტს სწორედ ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვერსიის შესწავლა და კომისიაზე პოზიციის წარმოდგენა.**

➢ *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.*

ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით იმსჯელა გრიფირების კომისიამ. გრიფირების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მინისტრისათვის წარდგენილ იქნა 2018 წლის 18 ივლისის N922025 სამსახურებრივი ბარათით, რომელშიც აღნიშნულია, რომ გრიფირების კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განსახილველად გადაცემული სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის (ID) გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რაც წარდგენილია აღნიშნულ მოხსენებით ბარათზე დანართების სახით. აღნიშნულ ანგარიშს დანართად ახლავს გრიფირების კომისიის 2018 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ კომისიის წევრებმა (კონსულტანტებმა) დაასრულეს მათთვის გადაცემული დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების (ID) განხილვა (დანართი N1) და წარმოადგინეს თავიანთი წერილობითი დასკვნები (დანართი N2), რომლებშიც ასახულია პოზიცია სახელმძღვანელოს/სერიის თითოეული მაკეტისათვის (ID) გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ოქმის თანახმად, კომისიამ კომპეტენციის ფარგლებში განხილული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო დანართი N2-ით (დასკვნები) წარმოდგენილი გადაწყვეტილება.

ID 251 განაცხადით წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტთან დაკავშირებით კომისიის წევრის დასკვნაში, რომელიც წარმოადგენს გრიფირების კომისიის 2018 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმის დანართი N2-ის ნაწილს, მითითებულია შემდეგი:

„ID251 V კლასი, ID251 VI კლასი, ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია სახელმძღვანელოს ლეგიტიმაციისათვის. სახელმძღვანელოები დაწერილია რთული ენით, ამიტომ ავტორი ცდილობს ხშირად გამოიყენოს მოსწავლისათვის გაუგებარი უცხო სიტყვებისათვის ლექსიკონი. მაგ. ერთ თავში 5 უცხო სიტყვაა განმარტებული, ეს აიძულებს მოსწავლეს მექანიკურად დაიზეპიროს უცხო სიტყვები და ვერ გაიაზროს მისი მნიშვნელობა. სახელმძღვანელოში ყურადღება გადატანილია რეგიონალიზმის საკითხებზე, მაგრამ რეგიონებიც არათანაბრადაა წარმოჩენილი. ვფიქრობ აღნიშნული სახელმძღვანელოები ვერ აკმაყოფილებს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს - ID251 V კლასი, ID251 VI კლასი ფასდება საშუალოდ.“

ამდენად, დასკვნაში ცალსახად მითითებულია, რომ სახელმძღვანელოები ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 31 აგვისტოს N142 ბრძანებით, ID 251 განაცხადით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს გრიფი მიენიჭა. აღნიშნული ბრძანების საფუძვლად მითითებულია N1063177 31/08/2018 სამსახურებრივი ბარათი, რომელსაც დანართად ახლავს გრიფირების კომისიის წევრის ახალი დასკვნა ID251 განაცხადით წარმოდგენილ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით, რომლის თანახმად:

„წარმოდგენილი სახელმძღვანელოებიდან ყველაზე უკეთ ეროვნულ სასწავლო გეგმას პასუხობს ID251 „ჩვენი საქართველო" მეხუთე-მეექვსე კლასების წიგნები. ავტორთა ჯგუფმა სრულიად გაიზიარა რეცენზირების დროს გამოთქმული შენიშვნები და გადაამუშავა მასალა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო სახელმძღვანელოებში მკაფიოდ წარმოჩენილიყო ერთიანი სახელმწიფოებრივი ცნობიერების სულისკვეთება და მისი მნიშვნელობა. ვიმეორებ, შექმნილ რეალობაში, ვფიქრობ, ID251 სახელმძღვანელოები მეხუთე-მეექვსე კლასებისათვის მისაღებად მიმაჩნია."

ამდენად, წარმოდგენილია გრიფირების კომისიის მხოლოდ ერთი წევრის დასკვნა, ხოლო გრიფირების კომისიის მიერ აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული რაიმე ახალი გადაწყვეტილება სამსახურებრივ ბარათს დანართად არ ახლავს.

აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის" მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გრიფირების კომისიის უფლებამოსილებაა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მაკეტისათვის გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. გრიფირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

- სახელმძღვანელოების გადამუშავებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესი'' არეგულირებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის შერჩევისა და გრიფის მინიჭების წესსა და პირობებს და სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭება უნდა მოხდეს სწორედ მათი დაცვით. გასათვალისწინებელია, რომ გრიფირების მინიჭების საფუძვლის ყველა პირობის დაკმაყოფილებისა და გრიფირების ყველა ეტაპის წარმატებით დაძლევის შემთხვევაშია შესაძლებელი სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭება. აღნიშნული წესით გრიფირებისათვის წარდგენილი სახელმძღვანელოს გადამუშავების შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის" მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გრიფირების განმავლობაში განმცხადებელს ეკრძალება სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის გრიფირებისათვის წარმოდგენილ რედაქციაში შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის კორექტირება, გარდა ამ წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, რაც გულისხმობს განმცხადებლის ვალდებულებას, რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს

სახელმძღვანელოს/ სერიის მაკეტის შესაბამისი კორექტურა (შინაარსობრივი, ტექნიკური), თუკი აღნიშნულზე პირდაპირ რეკომენდაციას / მითითებას შეიცავს რეცენზია.

შემსრულებლები:

ინსპექტირების სამსახურის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ინსპექტირების სამსახურის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ინსპექტირების სამსახურის შრომითი
ხელშეკრულებით დასაქმებული
დამხმარე სპეციალისტი

ინსპექტირების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ მოახდინოს რეაგირება ინსპექტირების სამსახურის დასკვნაში მითითებულ დარღვევებსა და საკითხებზე, გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული შემდგომ საქმიანობაში, უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად დაცვა, განიხილოს სათანადო პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში (თანდართული დოკუმენტაციით) წარმოადგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინსპექტირების სამსახურში გონივრულ ვადაში;

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ მოახდინოს რეაგირება ინსპექტირების სამსახურის დასკვნაში მითითებულ დარღვევებსა და საკითხებზე, გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული შემდგომ საქმიანობაში, უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად დაცვა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში (თანდართული დოკუმენტაციით) წარმოადგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინსპექტირების სამსახურში გონივრულ ვადაში;

3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა მოახდინოს რეაგირება ინსპექტირების სამსახურის დასკვნაში მითითებულ საკითხებზე და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში (თანდართული დოკუმენტაციით) წარმოადგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინსპექტირების სამსახურში გონივრულ ვადაში;

4. ინსპექტირების სამსახურის დასკვნა გაცნობისა და მასში მითითებული დარღვევების/საკითხების შემდგომ საქმიანობაში გათვალისწინების მიზნით გაეგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს;

5. ვინაიდან ინსპექტირების სამსახურის დასკვნაში მითითებული ინფორმაცია შესაძლოა, შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეცეს სამართალდამცავ ორგანოს.

ინსპექტირების სამსახურის უფროსი **თეონა გაბიჩვაძე**